მანანა თანდაშვილი
ზაქარია ფურცხვანიძე

კორპუსლინგვისტიკა

(გლოსარიუმი და რეგისტრი)

Manual of Corpus Linguistics

დიგიტალური ჰუმანიტარია – ქართველოლოგია
და XXI საუკუნის გამოწვევები

Frankfurt University Press

2014

წინამდებარე ნაშრომი ფრანკფურტის ლინგვისტური წრის ინიციატივით შეიქმნა. აღნიშნული წრე ნებაყოფლობითი სასწავლო-სამეცნიერო რგოლია და დაარსდა ფაკულტატიური სემინარების ბაზაზე, რომელსაც ფრანკფურტის გოეთეს სახ. უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტში ატარებდა პროფ. მანანა თანდაშვილი კავკასიური ენების კვლევაში სტუდენტთა და დოქტორანტთა აქტიურად ჩაბმის მიზნით. სემინარებზე განხილული მრავალფეროვანი თემატიკიდან გამომდინარე, 2010 წლიდან სემინარი გადაიქცა მუდმივმოქმედ აკადემიურ ორგანოდ და ეწოდა **ფრანკფურტის ლინგვისტური წრე**. ლინგვისტური წრის სხდომები რეგულარულად იმართება ზამთრისა და ზაფხულის სემესტრების დროს, კვირაში ერთხელ (პარასკევობით) და საშუალებას აძლევს სტუდენტებსა და დოქტორანტებს სადისკუსიოდ წარმოადგინონ რეფერატები, მოხსენებები, საკურსო, სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომები.

2011 წლიდან ფრანკფურტის ლინგვისტური წრე საქართველოშიც იწყებს აქტიურ მოღვაწეობას და წელიწადში ერთხელ აწყობს საორიენტაციო შეხვედრებს გერმანიაში კავკასიოლოგიის შესწავლის მსურველთათვის. ფრანკფურტის ლინგვისტური წრის ერთ-ერთ მთავარ აქტივობას წარმოადგენს საზაფხულო სკოლების ორგანიზება საქართველოში. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ამ თვალსაზრისით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში 2012 და 2013 წლებში ჩატარებული ბათუმის საზაფხულო სკოლები, რომელიც მიეძღვნა კორპუსლინგვისტიკასა და ქართველოლოგიის სპეციალურ პრობლემს.

2011 წელს ფრანკფურტის ლინგვისტურმა წრემ გამოსცა სამეცნიერო კრებული Folia Caucasica, რომელიც მიეძღვნა პროფ. იოსტ გიპერტის 55 წლის იუბილეს. წინამდებარე ნაშრომი ფრანკფურტის ლინგვისტური წრის მეორე ბეჭდვითი გამოცემაა და შეიქმნა ბაკურიანის ზამთრის სკოლისათვის საერთაშორისო პროექტის "დიგიტალური ჰუმანიტარია – ქართველოლოგია და XXI საუკუნის გამოწვევები" ფარგლებში ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

ავტორთა წინასიტყვაობა

სიტყვა **ეპოქა** დროის კონკრეტულ პერიოდს აღნიშნავს, რომელიც ადამიანის ცნობიერებისა და ყოფიერების სფეროში ახალი მიღწევებით, კაცობრიობის განვითარების სიახლეებით არის ნიშანდებული. ჩვენც კონკრეტული ეპოქის ადამიანები ვართ და ამ ეპოქას **დიგიტალური ეპოქა** ჰქვია – ჩვენი ყოველდღიურობა გაჯერებულია ციფრული სამყაროს თანამედროვე ატრიბუტიკით – ბინარული ციფრების – ნულისა (0) და ერთის (1) კომბინაციის უსასრულო ჯაჭვით.

დიგიტალურმა ეპოქამ მეცნიერების ყველა დარგი გააციფრა. მეტიც, მთელი რიგი დარგთაშორისი მიმართულებები წარმოშვა. კორპუსლინგვისტიკაც ამგვარი ინტერდისციპლინარული დარგია – ლინგვისტიკისა და ინფორმატიკის ზღვარზე აღმოცენებული.

საქართველოში კორპუსლინგვისტიკა ახლა იდგამს ფეხს. დარგის დამკვიდრება და განვითარება კი არა მარტო ახალგაზრდა სპეციალისტების გაზრდას გულისხმობს, არამედ დარგობრივი მეტაენის შექმნასაც ქართულად. გვინდა შეგახსენოთ, რომ გასული საუკუნის დასაწყისში, ეროვნული უნივერსიტეტის შექმნის პირველსავე წლებში, ქართველი მეცნიერები დაუშრომლად იღვწოდნენ მეცნიერების სხვადასხვა დარგებისათვის

მეტაენის ქართულად შესაქმნელად. წინამდებარე გლოსარიუმი ფრანკფურტის ლინგვისტური წრის მიერ გამოცემული ნაშრომია. ბათუმის საზაფხულო სკოლის ჩატარებამ კორპუსლინგვისტიკაში (2012-2013 წ.) გამოცდილება შეგვძინა ამ წიგნის ავტორებს და თვალნათლივ დაგვანახა, რომ საქართველოში კორპუსლინგვისტიკის განვითარების უპირველეს ამოცანას კორპუსლინგვისტიკის ტერმინების გაქართულება წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომი, რომელიც საგანგებოდ დაიწერა ბაკურიანის ზამთრის სკოლისათვის, კორპუსლინგვისტიკის ცნებების გაქართულებისა და ქართველი მკითხველისათვის მათი განმარტების პირველ ცდას წარმოადგენს.

ავტორები დიდ მადლობას უხდიან იოსტ გიპერტს, ნინო შარაშენიძეს, ლელა სამუშიას და ნათია დუნდუას მხარდაჭერის, თანამშრომლობისა და საინტერესო შენიშვნებისათვის.

ფრანკფურტი, 2014

განმარტებები მომხმარებელთათვის

წინამდებარე გლოსარიუმი კორპუსლინგვისტიკაში ორი ნაწილისაგან შედგება: გლოსარიუმისა და კორპუსის შერჩევითი რეგისტრისაგან.

გლოსარიუმში წარმოდგენილია კორპუსლინგვისტიკის საბაზისო ცნებები განმარტებებითურთ, რომლებიც დალაგებულია ანბანთრიგზე. გლოსარიუმში შეტანილ ყველა ცნებას (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) ახლავს შესაბამისი შესატყვისი ინგლისურად. მაგ.: **ლინგვისტური ანოტაცია linguistic annotation**.

ცნების განმარტებას საჭიროების შემთხვევაში ახლავს საილუსტრაციო მასალაც. მაგ.:

ანოტაციის დონეები annotation levels – ლინგვისტური მეტაინფორმაციის დამოუკიდებელ ბწკარებზე (ანოტაციის სხვადასხვა დონეებზე) ასახვის ფორმა. ანოტაციის დონეები იმავდროულად წარმოადგენენ გრამატიკულად რელევანტურ დესკრიფციულ პერსპექტივებს მონაცემთა ბაზასთან მიმართებაში. ანოტაციის სრულყოფილი ფორმაა მრავალდონიანი ანოტაცია, რომელიც ლინგვისტური ინფორმაციის სხვადასხვა ენობრივ დონეზე გადანაწილების ეფექტურ ფორმას წარმოადგენს.

მაგალითი:

L1	თხა-მ	ვენახ-ი	შეჭამ-ა
L2	*txa-m*	*venax-i*	*šeč̣am-a*
L3	goat	vineyard	eat
L4	N	N	V-tr.
L5	ERG.Sg.	NOM.Sg.	AOR.S3
L7	A	DO	PRD
L10	“The goat ate up the vineyard.”		

განმარტებებში გამოყენებული ცნებების შემთხვევაში მას ერთვის ე.წ. ბმული შესაბამის ცნებაზე. ბმული ჩასმულია ფრჩხილებში და მარკირებულია ბმულის აღმნიშვნელი საგანგებო ნიშნით – ↗. მაგ.:

> **ლინგვისტური ანოტაცია linguistic annotation –** ანოტირების სახე, ენობრივი მონაცემების ლინგვისტური ანალიზის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც ანოტაციის (↗ანოტაცია) ერთ ან რამდენიმე დონეზე (↗ანოტაციის დონეები) გადანაწილდება.

ნაშრომის მეორე ნაწილი წარმოადგენს სხვადასხვა ენებისათვის შექმნილი კორპუსების შერჩევით რეგისტრს. რელევანტური მონაცემები კორპუსის შესახებ – ე.წ. მეტამონაცემები – რამდენიმე მახასიათებლით არის წარმოდგენილი და ინფორმაციას აძლევს მომხმარებელს, რომელი ენისათვის არის შექმნილი იგი, რა მოცულობისაა კორპუსი, ვინ არიან კორპუსის ავტორები (პროექტის ან პიროვნებათა სახელების მითითებით). ასევე მოცემულია ვებგვერდის მისამართი და კორპუსის მოკლე აღწერა.

მაგ.:

Language:	Armenian
Indication:	Leiden Armenian Lexical Textbase
Kind:	Text and Corpora Meta Sites
Size:	80.000 Armenian lexemes and ten texts
Link:	http://www.sd-editions.com/LALT/home.htm
Description:	The complete Nor Bargirk, main sections of Adjarian's Root Dictionary, Bedrossian's Armenian-English Dictionary and other material are integrated in LALT...

შემოკლებები

ბერძ. – ბერძნული
ე.წ. – ეგრეთ წოდებული
იხ. – იხილე
ლათ. – ლათინური
მაგ. – მაგალითად
მრ. – მრავლობითი
შდრ. – შეადარე
vs. – versus

A	agens	აგენსი
ADJE	adjective	ზედსართავი სახელი
AOR	aorist	აორისტი
ANPH	anaphora	ანაფორა
ATT	attributive	ატრიბუტი
ADV	adverb	ზმნიზედა
DAT	dative	მიცემითი
DO	direct object	პირდაპირი ობიექტი
DPRON	dem. pronoun	ჩვენებითი ნაცვალსახელი
ERG	ergative	მოთხრობითი
L	level	დონე
intr	intransitive	გარდაუვალი
N	noun	არსებითი სახელი
NOM	nominative	სახელობითი
NP	nom. phrase	სახელური ფრაზა
PARTC	particle	პარტიკლი
PART	participle	მიმღეობა
Pl	plural	მრავლობითი რიცხვი
POS	part of speech	მეტყველების ნაწილი
PP	postposition	თანდებული
PRD	predicate	პრედიკატი
PRON	pronoun	ნაცვალსახელი
REF	referent	რეფერენტი

S	subject	სუბიექტი
Sg	singular	მხოლობითი
tr	transitive	გარდამავალი
V	verb	ზმნა

ანაფორა anaphora (ბერძ. ἀναφορά უკუმიმართება) – უკუმსწრები ელემენტი, რომელიც მიემართება წინადადებაში ან დისკურსში (↗დისკურსი) უკვე ნახსენებ სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს. რიტორიკაში ანაფორა "გამეორებას" გულისხმობს და სტილისტურ საშუალებას წარმოადგენს. მაგ. "ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის ქრის, ქარი ჰქრის..." (გ. ტაბიძე). ენათმეცნიერებაში ანაფორა პრაგმატული დონის ელემენტია, ლექსიკური შინაარსისაგან არის დაცლილი და გამოიყენება როგორც სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის შემცვლელი ფუნქციური ელემენტი. ქართულში ანაფორის ფუნქციით ძირითადად **დეიქტური ელემენტები** (↗დეიქსისი, ↗დეიქტიკონი) არის გამოყენებული – ნაცვალსახელი, ზმნიზედა, წინდებული. მაგ.: *„კაცი <u>სახლში</u> დაბრუნდა, მაგრამ **იქ** არავინ დახვდა“*; *„<u>მაგიდა</u> კარებთან იყო მიდგმული, **ზედ** არაფერი იდო.“* ისეთ შემთხვევაში, როდესაც დეიქტური ელემენტი მომდევნო სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს მიემართება წინადადებაში ან დისკურსში, წინმსწრები ელემენტი წარმოადგენს **კატაფორას** (↗კატაფორა). მაგ.: *„**ის**, ვინც <u>ვერ შეძლებს რეფერატის მომზადებას</u>, სერტიფიკატს ვერ მიიღებს“*. კატაფორა ხშირად მთავარ წინადადებაში გვხვდება და განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მას, როგორც მისამართ სიტყვას, მიემართება.

ანაფორული ანოტაცია anaphoric annotation – ანოტაციის ისეთი ფორმა, სადაც ანაფორული რეფერირების (↗რეფერენცია) გამომხატველი ელემენტები ცალსახადაა მარკირებული.

მაგ.

L1	კაცი	სახლში	დაბრუნდა,	მაგრამ	იქ	არავინ	დახვდა.
L2	*ķaci*	*saxlši*	*dabrunda,*	*magram*	*ik*	*aravin*	*daxvda.*
L3	man	hause	return	but	there	nobody	to be
L4	N	N	V-intr.	PARTC	ADV	PRON	V-intr.
L5	NOM.	DAT.PP	AOR.S3	-	–	NOM.	AOR.S3
L8	-	*REF*	-	–	*ANPH*	–	-

ამ წინადადებაში ზმნიზედა ***იქ***, რომელიც დეიქტური ელემენტის (↗დეიქსისი, ↗დეიქტიკონი) ფუნქციით არის გამოყენებული, მიემართება მთავარ წინადადებაში რეალიზებულ ადგილის გარემოებას – მიცემითში მდგარ თანდებულიან არსებით სახელს ***სახლში*** – და ანაფორას წარმოადგენს.



ანოტაცია annotation – კორპუსის შემადგენელი კომპონენტი, რომელიც კორპუსული კვლევის განხორციელებისათვის აუცილებელ სამი სახის ინფორმაციას შეიცავს: მეტამონაცემი (*metadata*), ტექსტის მარკირების ფორმა (*textual markup*) და ლინგვისტური ანოტაცია (*linguistic annotation*).

ლინგვისტური ანოტაცია linguistic annotation – ანოტირების სახე, ენობრივი მონაცემების ლინგვისტური ანალიზის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც ანოტაციის (↗ანოტაცია) ერთ ან რამდენიმე დონეზე (↗ანოტაციის დონეები) გადანაწილდება. ლინგვისტური ანოტაციის დროს განარჩევენ დესკრიფციულ და ანალიტიკურ ანოტაციას. დესკრიფციული ანოტაცია ძირითადად ფორმალური ნიშნების მიხედვით ახდენს ენობრივი მონაცემების (სიტყვაფორმების) დახასიათებას, ანალიტიკური ანოტაციის დროს ყურადღება ექცევა არაფორმალურ მახასიათებლებსაც. ლინგვისტური ანოტაცია ელექტრონული მონაცემის ლინგვისტური მეტაინფორმაციით გამდიდრების ერთ-ერთი ფორმაა და წარმოადგენს პირველად ენობრივ მონაცემებში ბუნებრივად კოდირებული ლინგვისტური ინფორმაციის ვიზუალიზაციის (↗ვიზუალიზაცია) ყველაზე გავრცელებულ ფორმას.



კორპუსლინგვისტიკის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპად მიჩნეულია ლინგვისტური ანოტაციის პროცესის პროგრამული ავტომატიზაცია. ამ მიზნის მისაღწევად კორპუსის პროგრამულ ინფრა-სტრუქტურაში ჩაშენებულია სპეციალური ინსტრუმენ-ტები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება მიმარ-თება სხვადასხვა სახის პირველად მონაცემთა ბაზებთან (როგორც წესი, ასეთია, მაგ., ლექსიკონი და მორფემათა ბანკი), რაც ლექსემათა ავტომატური ანოტირების საშუალებას იძლევა. ამგვარი მექანიზმით აღჭურვილ კორპუსს ანოტირებული კორპუსი ეწოდება. ანოტირებული კორპუსი ყველაზე მოქნილ რესურსს წარმოადგენს ლინგვისტური კვლევისთვის ენის სხვადასხვა დონეზე. დღესდღეობით ანოტაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა არის POS-ანოტაცია (Part Of Speech Annotation). სამეცნიერო ნაშრომებში გამოყენებული ტექსტის ლინგვისტური ანოტაცია, კორპუსისაგან განსხვავებით, მანუალურად იქმნება და შრომატევადია. ილუსტრირებისათვის იხ. მანუალური ლინგვისტური ანოტაციის (↗მანუალური ანოტაცია) მაგალითი:

თხა-მ	ვენახ-ი	შეჭამ-ა
txa-m	*venax-i*	*šeč̣am-a*
goat:ERG.Sg.	vineyard:NOM.Sg.	eat:AOR.S3

“The goat ate up the vineyard“.

ანოტაციის დონეები annotation levels – ლინგვისტური მეტაინფორმაციის დამოუკიდებელ ბწკარებზე (ანოტაციის სხვადასხვა დონეებზე) ასახვის ფორმა. ანოტაციის დონეები იმავდროულად წარმოადგენენ გრამატიკულად რელევანტურ დესკრიფციულ პერსპექტივებს მონაცემთა ბაზასთან

მიმართებაში. ანოტაციის სრულყოფილი ფორმაა მრავალდონიანი ანოტაცია, რომელიც ლინგვისტური ინფორმაციის სხვადასხვა ენობრივ დონეზე გადანაწილების ეფექტურ ფორმას წარმოადგენს.

მაგალითი 1:

L1	თხა-მ	ვენახ-ი	შეჭამ-ა
L2	*txa-m*	*venax-i*	*šeč̣am-a*
L3	goat	vineyard	eat
L4	N	N	V-tr.
L5	ERG.Sg.	NOM.Sg.	AOR.S3
L7	A	DO	PRD
L10	“The goat ate up the vineyard.”		

მაგალითი 2:

L1	ეს	ვირუს-ის	მ-ა-ტარ-ებ-ელ-ი	კაც-ი
L2	*es*	*virus-is*	*m-a-ṭar-eb-el-i*	*ḳac-i*
L3	that	virus	carrying	man
L4	DPRON	N	PART.	N
L5	NOM.	GEN.	NOM.	NOM.
L6	ATT.	ATT.	ATT.	HEAD
L8	D1	-	-	

განმარტება: L1 – ენობრივი მონაცემი ორიგინალ ენაში, L2 – ტრანსკრიფციის დონე, L3 – ლექსიკური დონე, L4 – POS-დონე (მეტყველების ნაწილები), L5 – მორფოლოგიური დონე, L6 – მორფოსინტაქსური დონე, L7-სინტაქსური დონე, L8 – პრაგმატული დონე. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გაიზარდოს დონეების რაოდენობა, მაგ., სემანტიკური დონე, პროსოდიული დონე და ა.შ. დღეისათვის არსებული კორპუსები ერთმანეთისაგან, როგორც წესი, განსხვავდებიან როგორც ანოტაციის დონეების რაოდენობის, ისე დონეების იერარქიული სტრუქტურის თვალსაზრისით.

მაგ., იხ. ანოტაციის დონეების მაგალითი EXMARaLDA-დან:



ანოტაციური მდგრადობა consistency of annotation – კორპუსის ანოტაციის მეთოდი, რომლის დროსაც ანოტაციის პრინციპები არ იცვლება და მუდმივად მოქცეულია მდგრად თეორიულ და კონცეპტუალურ ჩარჩოში. მაგალითად, არ ხდება დადგენილი შემოკლებებისა და ტრანსკრიფციის წესების გადახედვა. ანოტაციის მდგრადობის მისაღწევად მიზანშეწონილია ე.წ. ანოტაციის კონვენციის – წესებისა და პრინციპების შემუშავება. შდრ. **ლაიფციგის გლოსირების წესები Leipzig Glossing Rules**.

ანოტირებული კორპუსი – იხ. ლინგვისტური ანოტაცია

ბალანსირება balancing – კორპუსის ერთ-ერთი თვისობრივი მახასიათებელი, რომელიც გულისხმობს კორპუსში ჩართული რესურსების ჟანრული მრავალფეროვნების გაწონასწორებას. ბალანსირება შესაძლებელია როგორც სინქრონული, ისე დიაქრო-

ნული თვალსაზრისით. დიაქრონული კვლევებისათვის მხოლოდ დიაქრონულად ბალანსირებული კორპუსის გამოყენებაა მიზანშეწონილი. სინქრონულად ბალანსირებული კორპუსი უნდა მოიცავდეს ენის რეალიზების მრავალფეროვან რეესტრს, უპირველეს ყოვლისა, დიალექტებსა და სოციოლექტებს. ენის ემპირიული ფორმის ყველა შესაძლო ვარიანტის ასახვა კორპუსში უზრუნველყოფს ბალანსირების ხარისხს. ემპირიულ ფორმებში იგულისხმება არა მარტო წერილობითი, არამედ ზეპირმეტყველების რეგისტრიც. ამ რეგისტრის შიგნით მრავალფეროვნება მიიღწევა, მაგ., ასაკობრივი ჯგუფების მრავალფეროვნებით. ბალანსირებულ კორპუსში ცალკე აისახება, მაგალითად, ბავშვის მეტყველება, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანის მეტყველება, კომერციული დიალოგი, სპეციფიური სოციოლექტური დიალოგი და ასე შემდეგ.

The Brown Corpus sampling frame

Text categories		Broad genre	No. texts	% of corpus
A	Press: reportage	Press	44	8.8
B	Press: editorial	Press	27	5.4
C	Press: reviews	Press	17	3.4
D	Religion	General prose	17	3.4
E	Skills, trades and hobbies	General prose	36	7.2
F	Popular lore	General prose	48	9.6
G	Belles lettres, biography, essays	General prose	75	15
H	Miscellaneous (government & other official documents)	General prose	30	6
J	Learned and scientific writings	Learned	80	16
K	General fiction	Fiction	29	5.8
L	Mystery and detective fiction	Fiction	24	4.8
M	Science fiction	Fiction	6	1.2
N	Adventure and western fiction	Fiction	29	5.8
P	Romance and love story	Fiction	29	5.8
R	Humour	Fiction	9	1.8

ბრაუნის კორპუსის ბალანსირების ცხრილი

ბაიტი byte – ციფრული ინფორმაციის საზომი ერთეული; გამომთვლელი მანქანისათვის აღქმადი უმცირესი ციფრული ოდენობა, რომელიც უდრის 8 ბიტს (ამის გამო **octet-**საც უწოდებენ) და შეესაბამება ერთ კონკრეტულ ნიშანს, მაგალითად, ერთ ასოს ან სიმბოლოს.

Quantities of bytes						
Common prefix				Binary prefix		
Name	Symbol	Decimal SI	Binary JEDEC	Name	Symbol	Binary IEC
kilobyte	KB/kB	10^3	2^{10}	kibibyte	KiB	2^{10}
megabyte	MB	10^6	2^{20}	mebibyte	MiB	2^{20}
gigabyte	GB	10^9	2^{30}	gibibyte	GiB	2^{30}
terabyte	TB	10^{12}	2^{40}	tebibyte	TiB	2^{40}
petabyte	PB	10^{15}	2^{50}	pebibyte	PiB	2^{50}
exabyte	EB	10^{18}	2^{60}	exbibyte	EiB	2^{60}
zettabyte	ZB	10^{21}	2^{70}	zebibyte	ZiB	2^{70}
yottabyte	YB	10^{24}	2^{80}	yobibyte	YiB	2^{80}

ბიტი bit/binary digit – ციფრული ინფორმაციის საზომი ერთეული; ბინარული ციფრი, რომელიც, როგორც წესი, „0“ და „1“-საგან შედგება. ცნების ავტორად ითვლება მათემატიკოსი ჯონ თიუქი (John W. Tukey). 1 ბიტი გულისხმობს ორ დასაშვებ მდგომარეობას (0 ან 1), 2 ბიტი 4-ს, 3 ბიტი 8 -ს ანუ **n** ბიტი უდრის 2^n-ს. 8 ბიტი უდრის 1 ბაიტს (8 ბიტი $=2^8 = 256$).

ბმული link – ელექტრონულ ტექსტში მოცემული რომელიმე ელემენტიდან შიდა ან გარე რესურსზე გადასვლის ტექნიკური შესაძლებლობა. ამის

შესაბამისად განასხვავებენ შიდა (ტექსტის შიგნით) და გარე (სხვა ტექსტზე გადამყვან) ბმულებს. იხ. **ჰიპერ-ბმული.**

გიგაბაიტი gigabyte – ციფრული ინფორმაციის საზომი ერთეული. 1 გიგაბაიტი უდრის 10^9 ბაიტს = 1.000.000.000 ბიტს.

გრამატიკალიზაცია grammaticalisation – დროში განფენილი ენობრივი პროცესის შედეგი, რომლის დროსაც ლექსიკური ელემენტი კარგავს სემანტიკურ მნიშვნელობას და იძენს გრამატიკულ ფუნქციას. ამ პროცესს, როგორც წესი, თან სდევს სიტყვის ფონეტიკური ეროზია (გაცვეთა). გრამატიკალიზაციის ნიმუშს ქართულში წარმოადგენს, მაგ., ციტირების (სხვათა სიტყვის) ნაწილაკი ***-მეთქი*** (< მე ვთქვი) წინადადებაში „ხომ გითხარით, ჯერ არსად ვმუშაობ-*მეთქი*“; მოდალური სიტყვა ***უნდა*** წინადადებაში „აუცილებლად *უნდა* წასულიყო, აქ ვეღარ დარჩებოდა“, შდრ. „ვერ გამიგია, მაგას რაღა *უნდა*“; არსებითი სახელი ***თავი*** რეფლექსური ნაცვალსახელის ფუნქციით წინადადებაში „*საკუთარ იდეალებს თავი უყოყმანოდ შესწირა*“; რიცხვითი სახელი ***ერთი*** მოდალური სიტყვის ფუნქციით წინადადებაში „*ერთი,* კარგად მოვილხინოთ, ბიჭებო!“

გრამატიკული თავი head – ფრაზის მორფოსინტაქსური და ფუნქციურ-სემანტიკური საყრდენი. ფრაზის იერარქიული სტრუქტურის ის წევრი, რომელიც, როგორც წესი, იერარქიის უმაღლეს საფეხურს იკავებს, ხოლო ფრაზის დანარჩენი წევრები მას ექვემდებარებიან და ახდენენ მის მოდიფიკაციას –

განავრცობენ რაიმე ნიშნის მიხედვით. სინტაქსური ანალიზის დროს ასეთი ელემენტი გამოდის გრამატიკული თავის როლში და განსაზღვრავს მთელი ფრაზის გრამატიკულ ნიშნებს. მაგალითად, ნომინალურ ფრაზაში (NP) „ჩემს პატარა კატას“ „კატა“ არის გრამატიკული თავი და განაპირობებს დაქვემდებარებული წევრების *„ჩემი“* (PRON) და *„პატარა“* (ADJ) გრამატიკულ გაფორმებას ბრუნვასა და რიცხვში.

დაგეგმილი ენა planned speech – ენის რეალიზების ის ფორმატი, რომელიც წერილობით დოკუმენტირებულ ტექსტებში ვლინდება და ასახავს ენის გარკვეულ რეესტრს – ნორმირებულ ენას. მისგან განსხვავებით, ზეპირმეტყველება ხასიათდება სპონტანურობით და ენობრივი ფორმების მოხმარების თავისუფლებით, რაც საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ ენაში მიმდინარე ცვლილებებს ბუნებრივ გარემოში. ზეპირმეტყველების გზით რეალიზებულ ენას **დაუგეგმავი ენა unplanned speech** ეწოდება.

დეიქსისი deixis – (ბერძ. δεῖξις ჩვენება, მითითება) საკომუნიკაციო აქტის დეტერმინაციის ენობრივი საშუალება – ოპერაცია, რომელიც მიზნად ისახავს მოქმედების ადგილის, დროის, სივრცის და ა.შ. განსაზღვრას საკომუნიკაციო აქტთან მიმართებაში. დეიქსისის გამოსახატავად ენაში სხვადასხვა სახის დეიქტიკონები (↗დეიქტური ელემენტი) გამოიყენება: პირის, სივრცული, დროული, ტექსტური, სოციალური და სხვ. შესაბამისად, განასხვავებენ დეიქსისის რამდენიმე სახეს: პირის დეიქსისი (person deixis), დროის დეიქსისი (time deixis), სივრცული დეიქსისი (place deixis), დისკურსული დეიქსისი (discourse deixis), სოციალური

დეიქსისი (social deixis). დეიქსისს განიხილავენ როგორც კონტექსტური ან სიტუაციური სფეციფიკაციის აღწერის საშუალებას, რომელიც ემსახურება სივრცის, დროის და პირის დეტერმინაციას მთქმელის პოზიციის გათვალისწინებით. ხშირად მას **მე-აქ-ახლა** კორელაციასაც უწოდებენ. მაგ., წინადადებაში "**ახლა**, როცა **ამ** სტრიქონს ვწერ, შუადამე იწვის, დნება" (გ. ტაბიძე) ორი დეიქტიკონია გამოყენებული – **ახლა** (დროის დეიქტიკონი) და **აქ** (სივრცის დეიქტიკონი). დეიქსისი, კონკრეტული ლინგვისტური თეორიიდან გამომდინარე, განიხილება როგორც პრაგმატული ან სემანტიკური ფენომენი.

დეიქტიკონი deictic – იგივეა, რაც **დეიქტური ელემენტი**.

დეიქტური ელემენტი – დეიქტური ელემენტი ენის პრაგმატული დონის ფუნქციური ელემენტია, რომელიც ენაში გამოიყენება რეფერენციულობის კონკრეტული ფორმის, დეიქსისის გამოსახატავად. დეიქტური ელემენტი მიუთითებს სიტყვაზე ან სიტყვათა ჯგუფზე ერთი წინადადების ან დისკურსის ფარგლებში. ქართულში დეიქტური ელემენტების რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა: პირის (პირის ნაცვალსახელები: მე, შენ, იგი), ობიექტზე ორიენტირებული (ჩვენებითი ნაჩვალსახელები: ეს, ეგ, ის), ადგილის (ზმნიზედები: აქ, მანდ იქ,), დროის (ზმნიზედები: ახლა, მაშინ). დეიქტური ელემენტები ქართულში სამსაფეხუროვან სისტემას გვიჩვენებენ: I საფეხურის დეიქსისი (მე, ეს, აქ), II საფეხურის დეიქსისი (შენ, ეგ, მანდ) და III საფეხურის დეიქსისი (იგი, ის, იქ).

დიგიტალური ჰუმანიტარია digital humanities – სამეცნიერო დარგი, რომელიც კვლევის დროს სისტემატურად იყენებს დიგიტალურ (ციფრულ) რესურსებს და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ჰუმანიტარულ დარგებსა და კულტუროლოგიაში. დიგიტალური ჰუმანიტარია ინტერდისციპლინარულ დარგს წარმოადგენს და აღმოცენდა სამეცნიერო დისციპლინების – ჰუმანიტარული მეცნიერებისა და ინფორმატიკის მიჯნაზე. ამ დარგში მუშაობა მკვლევარისაგან მოითხოვს როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებებში თეორიულ ცოდნას, ისე ინფორმატიკის საბაზისო და სტანდარტული კვლევითი მეთოდებისა და საშუალებების ფლობას. კორპუსლინგვისტიკის გარდა დიგიტალური ჰუმანიტარია მოიცავს კვლევის ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა ე.წ. კრიტიკული დიგიტალური რედაქციების შექმნა, ტექსტის კვანტიტატიური ანალიზის საკითხები, მონაცემთა კომპლექსური სტრუქტურების ვიზუალიზაცია, თეორია დიგიტალური მედიების შესახებ და ა.შ. დიგიტალური ჰუმანიტარიის სინონიმად ინგლისურენოვან სამყაროში გამოიყენება ტერმინი e-Humanities. ორივე ინგლისური ტერმინი – digital humanities და e-Humanities – ახლად დანერგილი ტერმინებია და ჩაენაცვლა მანამდე არსებულ და ამჟამად მოძველებულ ტერმინებს computing in the humanities და humanities computing. დიგიტალური ჰუმანიტარიის სინონიმად ქართულში გამოიყენება ტერმინი **ციფრული ჰუმანიტარია**. *რესურსები:* იხ. პროექტები DIO (Deutsche Inschriften online, http://www.inschriften.net/) და Digital Humanities Hessen – Integrierte Aufbereitung und Auswertung textbasierter Corpora (http://www.dhhe.de/).

დისამბიგვირება disambiguation – სემანტიკური და ფორმალური ომონიმიის მოხსნა მოცემული კონტექსტის ფარგლებში.

დისკურსი discourse (ლათ. *discursus* გარემომცველი) – სამეცნიერო ტერმინი, რომელიც გამოიყენება ფილოსოფიაში, ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობაში, რის გამოც მისი მნიშვნელობა დარგების მიხედვით განსხვავებულია. ფილოსოფოსი იურგენ ჰაბერმასი (Jürgen Habermas) დისკურსს კომუნიკაციური ქცევის თეორიის ფარგლებში განიხილავს და ერთმანეთისაგან განასხვავებს ნეიტრალურ სამეტყველო ქცევას (როგორც ურთიერთგაგებინებადობაზე ორიენტირებულ საკომუნიკაციო აქტს) და სტრატეგიულ სამეტყველო ქცევას (როგორც საკუთარი ინტერესებით განპირობებულ მეტყველების აქტს). თავის „ჭეშმარიტების თეორიაში“ დისკურსს იგი განმარტავს, როგორც კომუნიკაციის ისეთ ფორმას, რომელიც არგუმენტებით არის გამყარებული და რაციონალურობით გაჯერებული. პრიორიტეტულობისა და ძალაუფლების ნიშნით მარკირებული საკომუნიკაციო აქტი, მისი აზრით, ხელს უშლის კომუნიკაციის ძირითად ფუნქციას – ჩავწვდეთ ჭეშმარიტებას. დისკურსი არის მეტყველების ზეპირი ან წერილობითი ნაკადი, რომლის დროსაც ჭეშმარიტების დადგენის კონსტრუქციული წესები გამოიყენება და იდეალურ საკომუნიკაციო გარემოს ქმნის. ენათმეცნიერებაში დისკურსი განიხილება როგორც ენის ბუნებრივ ინტერაქციაში გამოყენებული ფორმა, რომელიც პრაგმატულად კოჰერენტულია და ხასიათდება სიგნიფიკანტურობით, რაც გულისხმობს საკომუნიკაციო ინტერაქციაში გამოყენებული ენობრივი

საშუალებების აუცილებლად მინიმალურსა და საკმარისად მაქსიმალურ ოდენობას.

დისტანციური სწავლება distance education – სასწავლო პროცესის ფორმატი, რომლის დროსაც სწავლების პროცესის ორივე მხარე – ლექტორი და სტუდენტი – სხვადასხვა სივრცულ გარემოში იმყოფება და ერთდროულად ან არაერთდროულად იყენებს დისტანციური სწავლების რესურსს. დისტანციური სწავლება არ გამორიცხავს ინტერაქციას ვიდეო-კონფერენციების სახით. იგი თავის თავში პრინციპულად მოიაზრებს სწავლების ელექტრონული ფორმატის გამოყენებას. სწავლების ამ ფორმატის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია მრავალფეროვანი სასწავლო გარემოს შექმნა, იგი ხასიათდება მულტიმედიალური საშუალებების გამოყენების შეუზღუდაობით და ხელს უწყობს დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევების გამომუშავებას მომხმარებელში. დისტანციური სწავლების **distance education** სინონიმად ინგლისურში გამოიყენება **distance learning, dlearning, D-Learning.**

ელექტრონული გადამისამართება hyperlink – იხ. ჰიპერბმული.

ელექტრონული რესურსი – რესურსის ელექტრონული ფორმა, ელექტრონულ მატარებლებზე გადატანილი მონაცემი, რომელიც მისი თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიებით დამუშავების საშუალებას იძლევა.

ელექტრონული სწავლება eLearning – სწავლების თანამედროვე მეთოდი, მიხაელ კერესის (Michael Kerres)

მიხედვით ელექტრონული სწავლება გულისხმობს სწავლების პროცესში ელექტრონული მედიებისა და ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებას განათლებაში. ტერმინის **eLearning** სინონიმებად ინგლისურში ხშირად გამოიყენება ტერმინები multimedia learning, technology-enhanced learning (TEL), computer-based instruction (CBI), computer-based training (CBT), computer-assisted instruction ან computer-aided instruction (CAI), internet-based training (IBT), web-based training (WBT), online education, virtual education, virtual learning environments (VLE). ელექტრონული სწავლების ძირითადი მახასიათებლებია **ინტერაქციულობა** (გრისომის ექვსსაფეხურიანი იერარქიული სისტემა), **მულტიკოდირება** (განსხვავებულ კოდებში მოცემული რესურსების გამოყენების შესაძლებლობა), **მულტი-მედიალურობა** (სხვადასხვა მედიალური საშუალებების, ვიდეო, აუდიო, გრაფიკული, მულტიმედიალური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა) და **მულტიმოდალურობა** (შემეცნების პროცესში აღქმის განსხვავებული საშუალებების გამოყენება, როგორიცაა აკუსტიკური, ვიზუალური და სხვ.). ელექტრონულ სწავლებაში უმნიშვნელოვანეს რგოლს ქმნის **სწავ-ლების მართვის სისტემა** (learning content management system). ელექტრონული სწავლების გამოყენება შესაძლებელია როგორც ტრადიციულ სასწავლო გარემოში (კლასი, აუდიტორია), ისე მის გარეშე. თანამედროვე ელექტრონულ სწავლებაში გამოიყენება როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური სწავლების ფორმები: **ვირტუალური სწავლება virtual learning** (ინტერნეტის მეშვეობით მიმდინარე პროცესი, რომელიც არ საჭიროებს მონაწილეთა მხრიდან ერთდროულ ჩართულობას), **ინტეგრირებული სწავლება blended learning** (რომელიც აერთიანებს როგორც ვირტუალური

სწავლების მეთოდებს, ისე სიგნიფიკანტების სასწავლო სივრცეში ერთდროულად მუშაობის ელემენტებს), **მასალის გაზიარება content sharing** (გამოიყენება ძირითადად ფორუმებში, სადაც მომხმარებლები აქვეყნებენ და განავრცობენ სასწავლო მასალებს, როგორც თეორიულს, ისე პრაქტიკულს), **ჯგუფური სწავლება learning community** (ერთი და იმავე დარგის მომხმარებელთა მიერ იქმნება საკუთარი პლატფორმა, სადაც გროვდება დარგისათვის რელევანტური სასწავლო მასალა), **კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დამყარებული კოოპერაციული სწავლება computer-supported cooperative learning** (რომლის დროსაც ძირითადად გამოიყენება ინფორმაციული და კომუნიკაციური სისტემები), **ვირტუალური საკლასო ოთახი virtual classroom** (სასწავლო პროცესში ინტერნეტი გამოიყენება როგორც საკომუნიკაციო მედიუმი ტერიტორიულად დაშორებულ მონაწილეებს შორის), ე.წ. **თეთრი დაფა whiteboard** (რომლის დროსაც სასწავლო პროცესის მონაწილეებს საშუალება აქვთ საერთო ქსელის მეშვეობით მოამზადონ სასწავლო თემის სამუშაო ვერსიები, გააკეთონ ჩანაწერები და ა.შ. ასეთ დროს გამოიყენება როგორც ტექსტური ფორმატის, ისე გრაფიკების, ნახაზებისა და სხვა სახის რესურსების შექმნის საშუალებები), **სამგანზომილებიანი სწავლება three-dimensional learning** (რომლის დროსაც გამოიყენება სამგანზომილებიანი ინფრასტრუქტურა სწავლების ეფექტურობის მისაღწევად). სასწავლო პროცესში ჩართულობის თვალსაზრისით ელექტრონული სწავლების ორი ცნება არის რელევანტური: სინქრონული და ასინქრონული სწავლება. სინქრონული სწავლების დროს ადგილი აქვს სწავლების ცოცხალ პროცესს

უშუალო ინტერაქციის სახით ორივე მხრიდან, რაც გამორიცხულია ასინქრონული სწავლების დროს.

ენის სინთეზი – ინფორმატიკაში ენის სინთეზი გულისხმობს ხელოვნურ ინტელექტს **AI** (**artificial intelligence**). ენის სინთეზის დროს ადგილი აქვს ენობრივი ფორმების (ბგერების, ფრაზების, წინადადებების) ხელოვნურ წარმოქმნას. ენის სინთეზის ტექნოლოგია ეყრდნობა ენის კომპიუტერულ მოდელირებას. მეტყველების რეპროდუქციისათვის აუცილებელია წინასწარ ჩაწერილი ბუნებრივი მეტყველების რეპრეზენტაციული ბაზა.

ეტერნეტი ethernet – კაბელური ტექნოლოგია, ლოკალური ქსელის ტიპი. განკუთვნილია ინფორმაციის გასაცვლელად ქსელში ჩართულ კომპიუტერებს შორის. კომპიუტერები ერთმანეთთან კავშირს ამყარებენ კოაქსიალური (ან ოპტიკური) კაბელების მეშვეობით გაგზავნილი რადიოსიხშირული სიგნალებით. ეტერნეტი განეკუთვნება **LAN**-ტექნოლოგიას (**local area network**), რომელიც პირველად შეიქმნა ფირმის Xerox Palo Alto Research Center მიერ.



ეფიციენტურობა efficiency – რესურსების ოპტიმალური და ხარისხობრივი ექსპლუატაცია.

ექსტრანეტი extranet – ინტრანეტის გაფართოებული სახე; ლოკალური ან გლობალური ქსელი, რომელიც იყენებს TCP/IP, HTML, SMTP და სხვა ღია ინტერნეტზე დაფუძნებულ სტანდარტებს ინფორმაციის გადასაცემად. ექსტრანეტი მისაწვდომია მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული ჯგუფებისათვის ორგანიზაციების შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ. იხ. **ინტრანეტი**.

ვერიფიკაცია, ვერიფიცირება verification – (ლათ. *verus* ჭეშმარიტი და *facere* კეთება) – ვითარების ან მდგომარეობის ჭეშმარიტების პოზიტიური დასაბუთება. მეცნიერული მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს ცალსახა ექსპლიკატის მეშვეობით მეცნიერული თეზის ან ვარაუდის შემოწმებას. ინფორმატიკაში უმეტესად გამოიყენება ბინარული ცნება **ვერიფიკაცია** და **ვალიდურობა verification and validation (V&V)**, რაც არსებითად პროგრამული ხარისხის კონტროლს გულისხმობს. ფილოსოფიაში ვერიფიკაცია მეთოდოლოგიურ საშუალებას წარმოადგენს და ლოგიკური

პოზიტივიზმის ერთ-ერთი საკვანძო ცნებაა. ეს უკანასკნელი აღიარებს მხოლოდ იმ გამონათქვამებს, რომელიც გადამოწმებადია, ანუ ვერიფიკაციას ექვემდებარება. ენის ფილოსოფიაში წინადადების აზრობრივი მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ არის მისაღები, თუ იგი ვერიფიცირებადია. კორპუსლინგვისტიკაში ვერიფიკაცია არის სამეცნიერო დებულების ან წესის კორპუსში გადამოწმების მეთოდი, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოებული რევიზია. გადამოწმების შედეგად დებულების არდადასტურების შემთხვევაში საქმე გვაქვს დებულების მეთოდური გზით უარყოფასთან – **ფალსიფიკაციასთან falsification** (↗ფალსიფიკაცია). განმავრცობელი ცნებებია: ლოგიკური ემპირიზმი, პოზიტივიზმი.

ვიზუალიზაცია visualisation – აბსტრაქტული მიმართებების ოპტიკური საშუალებებით ასახვა. კორპუსლინგვისტიკაში იგი ხშირად გამოიყენება დებულებების ან შედეგების თვალსაჩინოდ წარმოდგენის მიზნით.

თეზაურუსი thesaurus (ბერძ. θησαυρός განძი, განძთსაცავი) – ენის წერილობით ძეგლებში დადასტურებული სიტყვაფორმების ამსახველი ბანკი. თეზაურუსი ენის ან ენების ერთგვარ ელექტრონულ საცავს წარმოადგენს. ფართო მნიშვნელობით ცნება **თეზაურუსი** გამოიყენება ***ცოდნის საცავის*** აღსანიშნად, როგორიცაა, მაგ., ლექსიკონი ან ენციკლოპედია. თეზაუსური პირველად ჩნდება 1552 წელს, როდესაც ჰენრიკუს სტეფანუსმა (Henricus Stephanus) ბერძნული ენის თეზაურუსის "Thesaurus Graecae Linguae" ხუთტომეული გამოსცა. თეზაურუსი განსაკუთრებულ

მნიშვნელობას იძენს ინდექსაციის პროცესში, როდესაც აუცილებელია მითითება სიტყვაფორმის წყაროზე. საინფორმაციო-საძიებო კონტექსტში თეზაურუსი პირველად ჰანს პეტერ ლუნმა (Hans Peter Luhn) გამოიყენა 1957 წელს. ინდოევროპული ენებისათვის დღეისათვის არსებული რესურსებიდან ყველაზე დიდი და რეპრეზენტაციულია პროფ. იოსტ გიპერტის მიერ შექმნილი თეზაურუსი ↗**TITUS**-ი (იხ. ინდოევროპული ტექსტებისა და ენობრივი მასალების თეზაურუსი).

იდიომი idiom – მყარი შესიტყვება ან ხატოვანი გამოთქმა, რომლის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს. იდიომებს მიეკუთვნება, მაგალითად, ანდაზები, კულტურულად დეტერმინირებული მეტაფორები.

ინდექსირება indexing – პროცესი, რომლის დროსაც პროგრამა უზრუნველყოფს კორპუსული ტექსტის კონკრეტული ინდექსით აღჭურვას.

ინტელექტუალური საკუთრება intellectual property – გონებრივი შემოქმედების ნაყოფი, რომელიც კანონის შესაბამისად დაცულია, როგორც მისი შემოქმედის საკუთრება.

ინტერნეტი Internet – ღია, გლობალური ქსელი, რომელიც სხვადასხვა ტიპის ქსელებს შორის მონაცემთა გაცვლის საშუალებას იძლევა. ხშირად გამოიყენება როგორც WWW-ს (World Wide Web) სინონომი, რაც არასწორია. WWW წარმოადგენს საინტერნეტო ქსელის მეშვეობით ფუნქციონირებად სისტემას, რომელიც ვებგვერდებისაგან – ელექტრო-

ნული ჰიპერტექსტური დოკუმენტებისაგან შედგება. ინტერნეტი შეიქმნა სამეცნიერო პროექტის Arpanet-ის (Advanced Research Project Agency) ბაზაზე და მიზნად ისახავდა ძვირადღირებული კომპიუტერული აპარატურის ეფიციენტურობის (↗ეფიციენტურობა) გაზრდას მონაცემთა გაცვლის თვალსაზრისით. ქსელის გამოყენების ზრდას განსაკუთრებით შეუწყო ხელი მომხმარებლებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აპლიკაციის – ელექტრონული ფოსტის (e-Mail) შექმნამ. 1990 წლიდან ამერიკის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გადაწყვეტილებით ქსელი ღია რესურსად გამოცხადდა.

ინტრანეტი intranet – მონაცემთა გაცვლის ჩაკეტილი ქსელი. **LAN**-ისაგან (local area network) და **GAN**-ისაგან (global area network) განსხვავებით ინტრანეტი ჩაკეტილია არა გეოგრაფიული თვალსაზრისით, არამედ დასაშვებ მომხმარებელთა თვალსაზრისით.

ინტროსპექცია introspection – ენობრივი მონაცემის ანალიზის მეთოდი, რომელიც ეყრდნობა ინტუიციას. ფართოდ გამოიყენება სემანტიკური ანალიზის დროს, ასევე ფსიქოლოგიაში და ფსიქოლინგვისტიკაში.

ისტორიული კორპუსი historical corpus – კორპუსის ტიპი, რომელიც მოიცავს მოცემული კონკრეტული ენის ან ენათა ისტორიული არსებობის პერიოდში შექმნილ დოკუმენტთა ფართო ჟანრობრივ რეპერტუარს (↗ჟანრი) და დიაქრონული კვლევის საშუალებას იძლევა. ისტორიული კორპუსი შეიძლება რომელიმე ქრონოლოგიურ პერიოდზე იყოს შეზღუდული. მაგ., ინგლისური ენის ისტორიული კორპუსი ARCHER (A Representative Corpus of Historical English Registers) მხოლოდ

1650-1999 პერიოდის მასალებს მოიცავს და 1,8 მილიონი ტოკენისაგან (↗ტოკენი) შედგება. ისტორიული კორპუსი არ გამორიცხავს ჟანრულ მრავალფეროვნებას. იგივე ARCHER მულტიჟანრობრივ კორპუსს წარმოადგენს. ისტორიული კორპუსები სხვადასხვა მოცულობის შეიძლება იყოს. მაგ., ინგლისური ენის მეორე ისტორიული კორპუსი Penn Parsed Corpora of Historical English უფრო ვრცელ პერიოდს მოიცავს (1150-1914) ARCHER-თან შედარებით და 3.9 მილიონი ტოკენისაგან შედგება. ქართული ენის ეროვნული კორპუსი დღევანდელი მონაცემების მიხედვით ისტორიულ კორპუსს წარმოადგენს. იხ. **ქართული ენის ეროვნული კორპუსი**.

კილობაიტი kilobyte – ინფორმაციის საზომი ერთეული. 10^3 ბიტი = 1.000 ბაიტი = 1 კილობაიტი.

კლასტერული ანალიზი cluster analysis / clustering – სტატისტიკური ანალიზის მეთოდი, რომელიც დიდ მონაცემთა ბაზებში ახდენს მსგავს ობიექტთა ჯგუფების – ე. წ. კლასტერების (↗კლასტერები) დახარისხებას. ამგვარად შერჩეული ერთგვაროვანი კლასტერები ერთიანდებიან იერარქიულ (დაქვემდებარებულ) ან აგლომერაციულ (თანაბარდონიან) სისტემაში. კლასტერული ანალიზის მიზანია ახალი ჯგუფების გამოვლენა და არა ჯგუფების კლასიფიკაცია.

კლასტერები clusters – ***n*-gram-**ის ალტერნატიული ტერმინი (↗ *n*-gram).



კლასტერული ანალიზის ვიზუალიზაცია

კოლოკაცია collocation – უშუალო კონტექსტუალური თანაარსებობა, გვერდიგვერდ პოვნიერება. კოლოკაცია, როგორც ცნება, ჯონ რუპერტ ფერსმა (John Rupert Firth) გამოიყენა პირველად ენათმეცნიერებაში. კორპუსლინგვისტიკაში კოლოკაცია აღნიშნავს ყველაზე ხშირად გამოყენებულ, სტატისტიკურად დაანგარიშებად ლექსიკურ ელემენტებს კორპუსში. კოლოკაციის მაგალითი GEKKO-დან **KWIC-**ისათვის (↗ KWIC) „ღამე“ (კრიტერიუმებით „ინფორმაციულობა“ + “სიხშირე“) არის:

1. *მთელი ღამე*
2. *ვარსკვლავიანი ღამე*
3. *ბნელი ღამე*
4. *დღე და ღამე*
5. *მთვარიანი ღამე*
6. *უკუნეთი ღამე*
7. *წყვდიადი ღამე*



გერმანული ენის კოლოკაციების ინტერნეტლექსიკონი
სიტყვაფორმის „ღამე“ კოლოკაციები

კოლოკაცია განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა სემანტიკური თავსებადობა, ლოგიკური განპირობებულობა, ფრაზეოლოგიზმები და სტერეოტიპები. შდრ., მაგ., *მიზნის მიღწევა*, მაგრამ *შედეგის მიღება*. კოლოკაციის ფენომენს ვალტერ პორციგი (Walter Porzig) ისეთი ცნებების საშუალებით აღწერდა, როგორებიცაა *არსებითი შინაარსობრივი კავშირი* და *მნიშვნელობის (საერთო) სინტაქსური არე*, ევგენი კოსარიუსთან (Eugenio Coseriu) კი მას *ლექსიკური სოლიდარობა* ეწოდება.

კომპაილერი compiler – დამჯამებელი. იხ. **კომპილირება**.

კომპილირება compilation – დაჯამება; პროგრამული კოდის „თარგმნა“ მანქანის (პროგრამულ) ენაზე. პროგრამა ფუნქციონირებას იწყებს მხოლოდ მისი კომპილირების შემდეგ. ამგვარი „თარგმნის“ დროს ხდება პროგრამული კოდის შემოწმება ფორმალური ცდომილებებისა (სინტაქსი) და თავსებადობის

(სემანტიკური ექვივალენტურობის) თვალსაზრისით. პირველი კომპაილერი დააპროგრამა ამერიკელმა მათემატიკოსმა გრეის ჰოპერმა (Grace Hopper) 1952 წელს.

კონკორდანსერი concordancer – კომპიუტერული პროგრამა (ალგორითმი), რომელიც კონკორდანსის (↗ კონკორდანსი) გენერირებას ახდენს.

კონკორდანსი concordance (ლათ. *concordare* გაერთიანება, ჰარმონიზაცია) – თავდაპირველად გამოიყენებოდა ბიბლიათმცოდნეობაში, შემდგომ ლიტერატურათმცოდნეობაში. დღეისათვის წარმოადგენს კორპუსლინგვისტიკის ერთ-ერთ ძირეულ ცნებას. კონკორდანსი არის ანბანურ რიგზე დალაგებული სიტყვების ან ფრაზების სია. მის სინონიმებად გამოიყენება აგრეთვე **რეგისტრი** ან **ინდექსი**. კორპუსლინგვისტიკაში გამოყენებული ცნება *კონკორდანსი* იმით განსხვავდება სიტყვების უბრალო ჩამონათვალისაგან, რომ იგი ცალკე ამოღებული სიტყვების ჩამონათვალი კი არ არის, არამედ გვიჩვენებს მის ადგილს იმ კონტექსტში, რომელშიც იგი გვხვდება. კონკორდანსის საყრდენს წარმოადგენს სიტყვაფორმა, რომელსაც კორპუსლინგვისტიკაში ↗ **KWIC** (key word in context) ეწოდება.



კონკორდანსის მაგალითი British National Corpus-იდან

კოდირება (character) encoding – ტექსტის ასახვა კომპიუტერული მახსოვრობისათვის გასაგებ ნიშნებში – ბიტებში. კოდირების პირველი, ე. წ. 8-ბიტიანი კოდირების საერთაშორისო სტანდარტი (ISO-8859) სულ მალე 16-ბიტიანმა კოდირების სტანდარტმა შეცვალა, რომელიც სტანდარტების საერთაშორისო კონსორციუმმა უნიკოდმა (↗ უნიკოდის კონსორციუმი) 1991 წელს გამოაქვეყნა. კოდირების ახალმა სტანდარტმა შესაძლებელი გახადა ეროვნული ანბანების საყოველთაო სტანდარტიზაცია, მათ შორის, ჩინური იეროგლიფებისაც. დღეისათვის ქართული ანბანის სამივე სახე არის უნიკოდში ასახული: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. განსაკუთრებული წვლილი ქართული ანბანის ნაირსახეობების სტანდარტიზაციაში მიუძღვით იოსტ გიპერტსა და ირაკლი ღარიბაშვილს.

კონოტაცია connotation – ლექსემის დენოტაციის თანამდევი პერიფერიული (კონტექსტუალური) სემანტიკა. მაგალითად: ლექსიკური ერთეულის *როჯა* სემანტიკური მნიშვნელობა იგივეა, რაც *სახე,* მაგრამ მისგან განსხვავებით იგი უარყოფითი კონოტაციით არის დატვირთული – პეიორატივია.

კოოკურენტი co-occurring term – ლექსემის ლოგიკურ-კოჰერენტული რელაცია. იხ. კოოკურენცია.

კოოკურენცია co-occurrence – კორპუსლინგვისტიკაში ცნება კოოკურენცია აღნიშნავს ორი ტოკენის (↗ტოკენი) თანაობას კონტექსტში. კოოკურენცია ეყრდნობა Zipf-ის კანონს. თუ f ∗ r ≈ k (f ~ ერთი ტოკენის სიხშირე კორპუსში, r ~ რანგი ნუმერირებულ სიაში),

მაშინ f ≈ k / r, ანუ კორპუსში სიტყვის სიხშირე უკუპროპორციულია მის რანგთან სიხშირის სიაში.
სიტყვის „ბაკურიანი“ კოოკურენტები და მათი ვიზუალიზირების (↗ვიზუალიზაცია) შედეგი: გუდაური (146.033), *3.* (73.0919), *2.* (71.7552), *1.* (71.4885), *წ.* < წელი (64.4273), *13-14* (42.625), *კურორტი* (41.3009), *განვითარებაზე* (33.7972), *ჯაფარიძე* (33.1845), **,** (25.4459), **(** (24.1829), *ისაუბრა* (22.0791), *თბილისი* (20.0721).



სიტყვა „ბაკურიანის“ კოოკურენტები და მათი ვიზუალიზაცია

კორპორა corpora – ცნების ↗ *კორპუსი* მრავლობითი რიცხვის ფორმა.

კორპუსზე ორიენტირებული კვლევა – სამეცნიერო კვლევის თანამედროვე მეთოდი. კორპუსზე ორიენტირებული კვლევა გულისხმობს ემპირიული ენათმეცნიერების მეთოდების გამოყენებით რელევანტური ფორმე-

ბისა და გრამატიკული მოვლენების კორპუსის ბაზაზე ვერიფიკაციას.

კორპუსზე დამყარებული ლინგვისტური კვლევა vs. კორპუსით განპირობებული ლინგვისტური კვლევა corpus-based studies vs. corpus-driven studies

– კორპუსზე დამყარებული ლინგვისტური კვლევა გულისხმობს მეთოდს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ლინგვისტური ჰიპოთეზის ვალიდურობის შემოწმება კორპუსის ბაზაზე. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ჰიპოთეზის ჩამოყალიბება ამ შემთხვევაში არ უკავშირდება კორპუსულ კვლევას. კორპუსის ბაზაზე ხდება მისი სისწორისა და დეტალურობის ხარისხის ანუ ვალიდურობის დადგენა. ამის საპირისპიროდ **კორპუსით განპირობებული ლინგვისტური კვლევა** გულისხმობს მეთოდს, რომლის დროსაც ლინგვისტური ჰიპოთეზის ჩამოყალიბება იმთავითვე უკავშირდება კორპუსს, ანუ მეცნიერული პრობლემის დასმის წყაროს წარმოადგენს კორპუსში მონაცემების ანალიზი. ზოგიერთი ავტორი (მაგ., Tognini-Bonelli 2001: 84–5) ამ მეთოდზე დაყრდნობით თვლის, რომ ენობრივი კორპუსი თავად „ქმნის“ ენის თეორიას (განმვრცობი ცნებები: პოლისისტემატიზმი, John R. Firth).

კორპუსი corpus (ლათ. *corpus*, მრ. *corpora* სხეული) – შემოკლებული აღნიშვნა ცნებისათვის **ტექსტკორპუსი** ან **ტექსტური კორპუსი**. ლინგვისტიკაში იგი აღნიშნავს რომელიმე ენის წერილობითი ძეგლების ან წერილობით დოკუმენტირებული ზეპირმეტყველების მასალების ნაკრებს. კორპუსების შექმნამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ისეთი ჰუმანიტარული დარგებისათვის, როგორიცაა ენათმეცნიერება, ლიტერატუ-

რათმცოდნეობა, ისტორიოგრაფია, თუმცა აქტიურად გამოიყენება სამართალმცოდნეობაშიც. კორპუსი იძლევა ცალკეული საკითხებისა და პრობლემების სისტემური კვლევის საშუალებას როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ ასპექტში. დიაქრონული კვლევის განსახორციელებლად შექმნილ მიზნობრივ კორპუსს ↗**ისტორიული კორპუსი** ეწოდება. კორპუსი გარკვეული სამეცნიერო კრიტერიუმების შედეგად შექმნილი ტექსტების სტრუქტურირებული კრებულია, რომელიც აერთიანებს გარკვეული **ჟანრისა** (↗ჟანრი) და **ტიპის** ტექსტებს და აღჭურვილია მართვის სპეციალური სისტემით – **კორპუსის მენეჯერით**. კორპუსის აგების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებამ და მონაცემთა მანქანური დამუშავების შესაძლებლობების სწრაფმა განვითარებამ ხელი შეუწყო ახალი დარგთაშორისი სამეცნიერო დისციპლინის **კორპუსლინგვისტიკის** ჩამოყალიბებას. ენობრივი ანუ პირველადი მონაცემების გარდა კორპუსის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს **მეტამონაცემები** (↗მეტამონაცემი) – მონაცემები ენობრივი მონაცემების შესახებ.

კორპუს-ძიება – მიზანმიმართული ძიება კორპუსში, რომლის ეფექტურობა მიემართება ე.წ. კორპუსის ინჟინერიის პრერეკვიზიტებს ანუ წინდაწინ დადგენილ პირობებს. კორპუსის პრერეკვიზიტებიდან გამომდინარე შესაძლებელია შემდეგი სახის კორპუს-ძიება:

a. ცალკეული სიტყვაფორმის (მაგ.: "კაცისაგან")
b. ცალკეული ფუძის (მაგ.: "კაც")
c. მორფოლოგიური ელემენტის (მაგ.: "ი" ~ Nom)
d. POS (Tag) დაფა (მაგ.: "N" ~ noun)
e. სინტაქსური სტრუქტურის (კვანძის) (მაგ.: "NP" ~ noun phrase)

f. სემანტიკური კონცეფციის (მაგ.: "მარილზე წასვლა" ⇔ "სიკვდილი")

კორპუსის პრესტრუქტურირებიდან გამომდინარე კორპუს-ძიება შესაძლებელია მხოლოდ ანოტაციაში მითითებული ფენომენების მეშვეობით. ამიტომ შეუძლებელია ისეთი გამოტოვებული ელემენტების საძიებო ცნებად ფორმულირება, როგორიცაა ელიფსი, Ø-ით მარკირებული ელემენტები და ა.შ. მაგ.: *ელენე ყავას სვამს, გიორგი ჩაის* ან *ვიღაც დავინახე, მაგრამ არ ვიცი ვინ.*

კორპუს-საძიებო სისტემა – კორპუს-ძიებაზე მომართული ექსპლორაციული ალგორითმები (ხელსაწყოები ~ tool). მაგ.: TIGERSearch – (წყარო: König, Esther; Lezius, Wolfgang 2003: The TIGER language – A Description Language for Syntax Graphs, Formal Definition. Technical report IMS, Universität Stuttgart, Germany).

კორპუსის სახეები – კორპუსის სტრუქტურისა და კორპუსის გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე განასხვავებენ კორპუსის სხვადასხვა სახეს: ელექტრონული კორპუსი vs. ქაღალდის კორპუსი, ფრაგმენტული კორპუსი vs. რეფერენციული კორპუსი, სტატიკური კორპუსი vs. მონიტორული (↗მონიტორული კორპუსი), ანოტირებული კორპუსი, ერთენოვანი (↗მონოლინგვური კორპუსი) vs. მრავალენოვანი (↗მულტილინგვური კორპუსი) vs. პარალელური კორპუსი (↗პარალელური კორპუსი), სპეციალური ანუ თემატური კორპუსი.

კორპუსის მახასიათებლები – კორპუსის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი რელევანტური ნიშნები. როგორც წესი, კორპუსის დახასიათების დროს

მიუთითებენ რამდენიმე მნიშვნელოვან მახასიათებელზე, როგორიცაა:

- სერვერული განვრცობა (ღია რეჟიმის ქსელური კვანძი);
- ზომა&მოცულობა (ტოკენების რაოდენობა);
- ბალანსირება (ჟანრული მრავალფეროვნება);
- საძიებო სისტემა (ნიმუშის ამოცნობის პროგრამული ინსტრუმენტი ე. წ. pattern matching);
- მეტაინფორმაციული ბანკი;
- სტატისტიკური ანალიზის ალგორითმი;
- მომხმარებლის დინამიური ბიბლიოთეკა.

კორპუსის მოცულობა თვისობრივად და რაოდენობრივად – კორპუსული კვლევის ერთ-ერთ მეთოდურ პრობლემას წარმოადგენს მომხმარებლის მიერ დასმული ლინგვისტური საკითხის შესაბამისი ოპტიმალური მასალის კორპუსში მოძიება. თუ ზეპირმეტყველებას ვიკვლევთ, საძიებო სისტემა შესაბამისად ენის ამ რეგისტრით უნდა შემოიფარგლოს, თუ ენის ისტორიული ეტაპის რომელიმე თვალსაჩინო გრამატიკულ ფენომენს ვიკვლევთ, მაშინ კორპუსი საშუალებას უნდა იძლეოდეს, ძებნის შედეგად ზედაპირზე ამოიტანოს ამ ფენომენთან ასოცირებული ყველა კონტექსტი. სპორადულ, არასისტემურ მაგალითებზე დაყრდნობით შეუძლებელია სოლიდური მეცნიერული დასკვნის გამოტანა. კორპუსის აგება, მონაცემთა შეგროვება და მათი მეტაინფორმაციით აღჭურვა თანამედროვე კორპუსლინგვისტიკის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს. არსებობს ამ საკითხის გადაჭრის ორგვარი მიდგომა: **მონიტორული კორპუსი** (Sinclair 1991: 24–6), რომელიც მუდმივად განივრცობა და

ბალანსირებული (↗ბალანსირება) ანუ რეპრეზენტაციული **კორპუსი** (Biber 1993, Leech 2007), სადაც ენის სისტემა აღიბეჭდება სახასიათო ექსპლიკატების მეშვეობით.

კორპუსის ტიპები – კორპუსის ტიპი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ ელექტრონული რესურსების რა სახის მასალებს აერთიანებს იგი.

კორპუსის შექმნა corpus construction – კორპუსის შექმნის პროცესი: ტექსტების შეგროვება, მონაცემების კოდირება და შენახვა, კორპუს-მენეჯერით აღჭურვა, ანოტირება, ადმინისტრირება და ა. შ.

კორპუსლინგვისტიკა corpus linguistics – დარგთაშორისი სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც იკვლევს კორპუსების აგების, მართვისა და გამოყენების მეთოდებს. კორპუსლინგვისტიკა ანგლო-ამერიკულ გარემოში ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 60-იან წლებში და უკავშირდება პირველი ტექსტური კორპუსის – **Brown Corpus-**ის – შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ კორპუსების შექმნა გაცილებით ადრე დაიწყო, კორპუსლინგვისტიკამ, როგორც მეცნიერების დარგმა, სამეცნიერო წრეებში მხოლოდ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოიპოვა აღიარება. კორპუსლინგვისტიკის მიზანია ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სისტემური კვლევა. თეორიული ენათმეცნიერების პარადიგმაში კორპუსლინგვისტიკა უპირისპირდება გენერატიულ ლინგვისტიკას – ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით იგი ძირითადად ინდუქციურ-ემპირიულ მეთოდებს იყენებს (კონკრეტულიდან ზოგადისაკენ), მაშინ როდესაც გენერატიული

ლინგვისტიკა ძირითადად დედუქტიურ დებულებებს ეყრდნობა. კორპუსლინგვისტიკა ენას განიხილავს არა მხოლოდ როგორც აბსტრაქტულად არსებულ სისტემას („langue“ ფერდინანდ დე სოსიურის მიხედვით, ან „competence“ ნოამ ჩომსკის მიხედვით), არამედ როგორც ენის გამოვლენის ნებისმიერ ფორმათა ერთობლიობასაც („parole“ ფერდინანდ დე სოსიურის მიხედვით, ან „performance“ ნოამ ჩომსკის მიხედვით). კორპუსლინგვისტიკის მიზანია ენის რეალიზების ნებისმიერი ემპირიული ფაქტის კვლევა და ენათმეცნიერებაში გავრცელებული დიქოტომიის „Langue“ - „Parole“-ის მოხსნა. ამდენად, მისი კვლევის ობიექტს წარმოადგენს არა მხოლოდ **დაგეგმილი** (↗დაგეგმილი ენა), არამედ **დაუგეგმავი ენის** (↗დაგეგმილი ენა) ფაქტებიც. კორპუსლინგვისტიკის სამეცნიერო დისციპლინად აღიარებას ხშირად ხელს უშლის გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ კორპუსლინგვისტიკას კვლევის საკუთარი მეთოდები არ გააჩნია. ამიტომ კორპუსლინგვისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას კვლევის საკუთარი მეთოდური სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენს.

ლაიფციგის გლოსირების წესები Leipzig Glossing Rules – იხ. დანართი 1.

ლემა lemma – სიტყვაფორმის საწყისი, ძირითადი ფორმა. სახელებისათვის ქართულში ლემა არის სახელობითი ბრუნვის ფორმა, ზმნებისთვის – საწყისი.

ლემატიზაცია lemmatisation – კორპუსის ანოტაციის ფორმა, რომლის დროსაც ტოკენის ფორმა დაიყვანება ლემაზე (↗ლემა).

მაგ., წინადადებაში „ქათმებმა საკენკი აკენკეს“ სამი ლემაა:

1. ქათმებმა (ERG.Pl.) > ქათამი
2. საკენკი (NOM.Sg.) > საკენკი
3. აკენკეს (AOR.S3.Pl.) > აკენკვა.

ლექსიკური ერთეული lexical item – ლემის ზოგადი სახელი კორპუსლინგვისტიკაში, ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ერთეული ენაში. უტოლდება სალექსიკონო ერთეულს ლექსიკოლოგიაში. იხ. **ლემა**.

მანუალური ანოტაცია – ხელით შესრულებული, არაავტომატიზებული ანოტაცია (იხ. ანოტაცია). ძირითადად გამოიყენება სამეცნიერო სტატიებში მოყვანილი მაგალითების ანოტირებისას (↗ანოტაცია).

მეგაბაიტი megabyte/MB – ინფორმაციის საზომი ერთეული. 1.000.000 ბაიტი ანუ 10^6 (ან 1000^2) გვაძლევს 1 მეგაბაიტს. იხ. **ბიტი**.

მეტამონაცემი metadata – მონაცემი ენობრივი მონაცემის შესახებ. მეტამონაცემი წარმოადგენს მეორად, განმავრცობელ ინფორმაციას პირველადი ენობრივი მონაცემის – ენობრივი ფაქტების შესახებ. ამგვარი ინფორმაციის მაგალითებია, მაგ., მონაცემი პირველადი მონაცემის (მაგ., ხელნაწერის) გადამწერის შესახებ, ავტორის ვინაობის შესახებ, შექმნის ადგილის შესახებ, პირველად მონაცემთან დაკავშირებული რელევანტური თარიღების შესახებ და ასე შემდეგ. მეტამონაცემი შესაძლოა თან ერთვოდეს პირველად მონაცემს ან სპეციალური ფორმატის დამოუკიდებელ ბაზაში (header) განთავსდეს.


TITUS
Manuscript: Gr._2058/2
Textus Chanmetici

Lectionarium Gracense

Codex Chanmeticus

On the basis of photographs of the original manuscript,
preserved in ▸ Handschriftenabteilung, University Library, Graz / Austria,
as part of the ▸ bequest of ▸ Hugo Schuchardt,
and by collating the edition

Xanmeṭi lekcionari,
poṭoṭipiuru reṗrodukcia,
gamosca da simponia daurto Aķaķi Šaniʒem,
(ʒveli kartuli enis ʒeglebi, 1),
Tbilisi 1944
edited by J. Gippert / V. Imnaishvili / Z. Sarjveladze,
1996-2000;
colour photographs by courtesy ▸ Handschriftenabteilung, University Library, Graz;
greyscale photographs of page 0 belonging to the Paris ms. géorgien 30, fol. 1 as edited by B. Outtier,
Un feuillet du lectionnaire géorgien ḫanmeti à Paris,
Le Muséon 85, 1972, 399-402
(Pl. I-II).
TITUS version by Jost Gippert,
Frankfurt a/M, 1.9.1999 / 1.6.2000 / 18.11.2001 / 1.7.2003 / 17.3.2007

მეტამონაცემის მაგალითი TITUS-იდან

დღესდღეობით მეტამონაცემების ასახვა ხდება სპეციალურ ფორმატში. ყველაზე გავრცელებული ფორმატია TEI (Text Encoding Initiative). მეტამონაცემების ეს ფორმატი 1995 წლიდან ფართოდ გამოიყენება ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში. ქართული ენის ეროვნული კორპუსი იყენებს TEI ფორმატს.

მეხსიერების ჩხირი USB (universal serial bus) stick – ელექტრონული რესურსების გადატანის საშუალება, რომელსაც შედარებით დაბალი მეხსიერების მოცულობა გააჩნია.

მეტყველების ნაწილების ანოტაცია POS (part-of-speech) tagging – ანოტაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომლის დროსაც ყველა

სიტყვაფორმას მიემართება მეტყველების შესაბამისი ნაწილის აღმნიშვნელი თეგი (↗მეტყველების ნაწილების თეგი). მაგ., არსებითი სახელი აღინიშნება თეგით N, ზმნა – V, ნაცვალსახელი – PRON, ზმნიზედა – ADV და ა.შ. იხ. **ლინგვისტური ანოტაცია**.

მეტყველების ნაწილების თეგი POS (part-of-speech) tags – კოდი, რომელიც გამოხატულია კონვენციური შემოკლების სახით და აღნიშნავს მეტყველების ნაწილს. მაგ., ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ნაცვალსახელებისათვის ძველ ქართულში გამოიყენება შემდეგი აღნიშვნის კოდები:

მარკერი	განმარტება	მაგალითი
Pron	ნაცვალსახელი	*მე, თჳსი*
Pers	პირის ნაცვალსახელი	*მე, ესე (იტყჳს)*
Dem (Demonstrative)	ჩვენებითი ნაცვალსახელი	*ესე (კაცი იტყჳს)*
Poss (Possessive)	კუთვნილებითი ნაცვალსახელი	*ჩემი, თჳსი*
Interr (Interrogative)	კითხვითი ნაცვალსახელი ვინ → ვინ+Pron+Interr+Hum+Nom ან ვინ+Pron+Interr+Hum+Erg	*ვინ?*
Poss Interr	კითხვით–კუთვნილებითი ნაცვალსახელი ვისი → ვის–ი+ Pron+Poss+Interr+Hum+Nom	*ვისი?*
Rel (Relative)	მიმართებითი ნაცვალსახელი რომელიცა → რომელი+Pron+Rel+ Nom+Sg+Encl:ცა	*რომელიცა// რომელი (ძვ.)*
Det (Determinative)	განსაზღვრებითი ნაცვალსახელი (აქვე შემოდის ნაწევარი)	*თჳთ, ყოველი, სხუად, თავადი, კაცად–კაცადი (კაცი ესე, ეგე, იგი)*
Indef (Indefinite)	განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	*რომელიმე// რომელი (ძვ.)*

მარკერი	განმარტება	მაგალითი
Neg (Negative)	უარყოფითი ნაცვალსახელი ნუვინ → ნუვინ+Pron+Neg+Hum+Nom+Imp (Imperative – ბრძანებითი)	*ნუვინ*
Recip (Reciprocal)	ურთიერთობითი ნაცვალსახელი	*ურთიერთას*
Refl (Reflexive)	უკუქცევითი ნაცვალსახელი თავი → თავი+Pron+Refl+ Nom +Sg	*თავი*

მომხმარებლის ნიღაბი user interface – მანქანისა და ადამიანის ინტერაქციის პროგრამული ჭრილი (განმავრცობელი ცნება usability engineering).

მონაცემი data – დისკრეტული რიცხვების ბინარული რიგი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას. მაგ.: 12356-ის ბინარული კოდი არის [11110001001000000]; სიტყვაფორმის „ბაკურიანი“, როგორც ციფრული მონაცემის ბინარული კოდია:

[11100001 10000011 10010001 11100001 10000011 10010000 11100001 10000011 10011001 11100001 10000011 10100011 11100001 10000011 10100000 11100001 10000011 10011000 11100001 10000011 10010000 11100001 10000011 10011100 11100001 10000011 10011000].

მონაცემთა ბანკი database, data bank – იგივე *მონაცემთა ბანკ-სისტემა,* ელექტრონული მონაცემების მართვის ინფრასტრუქტურა. მისი მიზანია მონაცემთა სიგნიფიკანტური ბაზის ეფიციენტური (↗ეფიციენტურობა), ხანგრძლივი და კოჰერენტული (არაურთიერთწინააღმდეგობრივი) შენახვა. მონაცემთა ბანკი შედგება ორი სტრუქტურული ნაწილისაგან: **მართვის პროგრამა** და თვით **მონაცემი** (რომელსაც **მონაცემთა ბაზასაც** ეძახიან). მართვის პროგრამა უზრუნველყოფს მონაცემების სტრუქტურირებულ შენახვას და აკონტროლებს საძიებო ბრძანებების წაკითხვას და შესრულებას. მონაცემთა პირველი ბანკები გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ყალიბდება. მონაცემთა ბანკ-სისტემების მაგალითებია Oracle, IBM-DB2, mySQL.



მონოლინგვური კორპუსი monolingual corpus – ერთი მოცემული ენის რესურსების ბაზაზე შექმნილი კორპუსი. უკავშირდება „ენის“, როგორც ასეთის, დეფინიციის პრობლემას.

მონიტორული კორპუსი monitor corpus – მონიტორული კორპუსის მონაცემთა ბაზა იმთავითვე გათვლილია პერმანენტული განვრცობისათვის. კორპუსში დამატებული მასალის ჟანრობრივი ბალანსი არ არის კონსტანტური და შესაძლოა დროდადრო შეიცვალოს. მონიტორული კორპუსის საუკეთესო

მაგალითს წარმოადგენს BoE (The Bank of English). მისი შექმნა დაიწყო გასული საუკუნის 80-იან წლებში და მუდმივად განივრცობა დღემდე. იგი შეიცავს დაახლოებით ნახევარ მილიარდ ტოკენს (Hunston 2002: 15). მეორე, ასევე ცნობილი მონიტორული კორპუსია COCA (The Corpus of Contemporary American English, Davies 2009) და გამოირჩევა ზუსტი კორპუსდიზაინით ტექსტურ ჟანრებთან მიმართებით.

მულტილინგვური კორპუსი multilingual corpus – ერთზე მეტი ენის რესურსების ბაზაზე შექმნილი კორპუსი. ამგვარი კორპუსების შექმნა მოტივირებულია თარგმანის ავტომატიზირებისა და შედარებითი კვლევის პრობლემებით. უკავშირდება „ენის“, როგორც ასეთის, დეფინიციის პრობლემას.

მყარი დისკი hard disk – ელექტრონული დამახსოვრების ტექნოლოგია, რომელიც ფერომაგნეტური რემანენტულობის პრინციპს ეყრდნობა. ინფორმაციის ჩაწერის დროს ადგილი აქვს მაგნეტური დისკის ზედაპირის მაგნეტური ძაბვით გაჯერებას.

ნიმუში sample – ცალკეული ტექსტი ან ტექსტის ექსპლიკატი, რომელიც კორპუსისათვის შეირჩა კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ამ ცნებას გააჩნია სტატისტიკური გაგებაც. Sampling-ით ხშირად აღინიშნება მონაცემების შეგროვების წინა ფაზა, როცა დოკუმენტირებული მასალა მოწმდება რეპრეზენტაციულობისა და რაოდენობრივი სიგნიფიკანტურობის კრიტერიუმებით.

ოპერატიული მეხსიერება RAM – random access memory – კომპუტერში განთავსებული ინფორმაციის დროებითი საწყობი.

ოპორტუნისტული კორპუსი opportunistic corpus (ხშირად იხმარება **კანიბალური კორპუსი cannibalistic corpus**) – ოპორტუნისტული კორპუსი ითვლება რეფერენციალური კორპუსის ალტერნატივად და გამოდის იქიდან, რომ კორპუსის ბალანსირება და რეპრეზენტაციულობა კორპუსის ინჟინერიის არარეალური მიზნებია. ამიტომ იმთავითვე მიჩნეულია, რომ ყოველი კორპუსი დაუბალანსებელია. ეს იდეა საზრდოობს დევიზით: *რაც უფრო დიდია კორპუსი, მით უკეთესი.* ამიტომ სახეზე გვაქვს მონაცემების მასიური, არასისტემური დაგროვება. ოპორტუნისტული კორპუსის დადებით მხარეს წარმოადგენს მისი განსაკუთრებული მოქნილობა ზეპირი მეტყველების კორპუსის შექმნის დროს.

ორთოგრაფიული ტრანსკრიფცია orthographic transcription – აუდიო მასალის ტრანსკრიფციის ფორმა, რომლის დროსაც მხედველობაში არ მიიღება მთქმელის ინდივიდუალური მეტყველების თავისებურებები და ტრანსკრიბირების (↗ტრანსკრიბირება) დროს გათვალისწინებულია სტანდარტული ენის ნორმები.

პარალელური კორპუსი parallel corpus – კორპუსი, რომელიც აერთიანებს ერთი და იმავე ტექსტის ვარიაციებს ერთი ან რამდენიმე ენის ფარგლებში. პარალელური კორპუსი შეიძლება შეიქმნას ერთი რომელიმე კონკრეტული ძეგლის რედაქციების

სინქრონიზაციის ან ტექსტის/ტექსტების სხვადასხვა ენაზე არსებული კორპუსების სინქრონიზაციის შედეგად.

პირველი-, მეორე-, მესამე-, მეოთხე თაობის კონკორდანსი – პირველი თაობის კონკორდანსი უკავშირდება Roberto Busa-ს სახელს, რომელმაც 1952 წელს პირველი ავტომატური გენერატორი დააპროგრამა. აღნიშნულ გენერატორს შეეძლო სწორხაზოვანი კონკორდანსის გამოტანა ლოკალური ბაზის საფუძველზე.

მეორე თაობის კონკორდანსი უკავშირდება 80-იან წლებში პერსონალური კომპიუტერის გავრცელებას და პირველად ართმევს თავს მონაცემთა რაოდენობრივად გაზრდილ ბაზებს.

მესამე თაობის კონკორდანსი გამოირჩევა პროგრამული ინსტრუმენტების მრავალფეროვნებით (მაგ., WordSmith: Scott 1996; MonoConc: Barlow 2000; AntConc: Anthony 2005; Xaira) და პროცესორის სისწრაფით.

მეოთხე თაობის კონკორდანსი მიემართება ინტერნეტის ქსელს, მონაცემთა ექსპონენციალურ რაოდენობას და გამოირჩევა განსაკუთრებული სისწრაფით. ახალი პროგრამული ინსტრუმენტები კორპუსის ლოკალური გამართვისა და აღჭურვის საშუალებას იძლევა (corpus.byu.edu: Davies 2005; Wmatrix: Rayson 2008; SketchEngine: Kilgarriff et al. 2004; BNCweb: Hoffmann et al. 2008; CQPweb).

პოსტი post – ელექტრონული შეტყობინების (ტექსტური, ვიზუალური, აუდიო, ვიდეო) განთავსება საჯარო ფორუმზე.

პოსტმოდიფიკაცია postmodification – სახელური ფრაზის დეტერმინაცია მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილმდებარეობის მიხედვით. მსაზღვრელი საზღვრულის (↗გრამატიკული თავი) დეტერმინაციას, იგივე მოდიფიკაციას, ახდენს მისგან მარჯვენა პოზიციაში. მაგ., წინადადებაში *„ღმერთო, ღმერთო, ეს **ხმა ტკბილი** გამაგონე ჩემს მამულში!“* (ი. ჭავჭავაძე) *ტკბილი* მიემართება გრამატიკულ თავს *(ხმა)* და ახდენს მის პოსტმოდიფიკაციას.

პროსოდიული ანოტაცია prosodic annotation – კორპუსის ანოტაციის (↗ანოტაცია) ფორმა, რომლის დროსაც ხდება ზეპირმეტყველების მასალაში პროსოდიული ფენომენების მარკირება, მაგ.: პაუზა, ინტონაცია, მახვილი, ტონი და ასე შემდეგ.

პრემოდიფიკაცია premodification – სახელური ფრაზის დეტერმინაცია მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილმდებარეობის მიხედვით. მსაზღვრელი საზღვრულის (↗გრამატიკული თავი) დეტერმინაციას, იგივე მოდიფიკაციას ახდენს მისგან მარცხენა პოზიციაში. მაგ. წინადადებაში *"**ჭრელი პეპელა** დაათრო და გააბრუა იამა"* (ა. წერეთელი) *ჭრელი* არის სახელური ფრაზის გრამატიკული თავის *(პეპელა)* ატრიბუტი და ახდენს მის პრემოდიფიკაციას.

პროსოდია prosody – ზეპირმეტყველების რელევანტური ფონეტიკური სეგმენტების ჯამი (პაუზა, ინტონაცია, მახვილი, ტონი).

ჟანრი genre – კომპოზიციის კატეგორიზებისთვის კრიტერიუმების თავისუფალი ერთობლიობა, როგორც

წესი, ვრცელდება ხელოვნებასა და კულტურაზე, განსაკუთრებით ლიტერატურაზე. ჟანრები კონვენციური ხასიათისაა და დარგების მიხედვით სპეციფიცირდება. კორპუსლინგვისტიკაში ჟანრი გულისხმობს ტექსტის სახეს – ლიტერატურული კორპუსი, იურიდიული დოკუმენტაციის კორპუსი, სამეცნიერო კორპუსი, ჩატის კორპუსი, მინიგზავნილების (**SMS**) კორპუსი, იდიომატურ გამოთქმათა კორპუსი, ანეკდოტების კორპუსი და ა.შ.

ჟანრული მრავალფეროვნება – იხ. **ბალანსირება.**

რეგულარული გამოსახულება regular expression (RegEx) – სუროგატული სიმბოლოების ჯაჭვი, რომელიც დალაგებულია ფორმალური სინტაქსური წესებით და იძლევა გარკვეული მიმართებების პოვნის საშუალებას მონაცემთა ბანკში. მაგალითად, რეგულარული გამოსახულება [„კაც.*“ „features=Aor“] GEKKO-ში მოიძიებს სიტყვის „კაცი“ ყველა შესაძლებელ ფლექსიურ ფორმას (*კაცმა, კაცს, კაცის* და ა.შ.), რომელიც წინ უსწრებს აორისტში მდგომ ზმნას.

რეპრეზენტაციულობა representativeness – კორპუსის ერთ-ერთი თვისობრივი მახასიათებელი, რომელიც გულისხმობს ტექსტური მასალის სელექციას წინდაწინ დადგენილი კრიტერიუმის (sampling frame) მიხედვით. მაგალითად, გარკვეული დროის განმავლობაში დაბეჭდილი ყველა გაზეთის მაგივრად კორპუსის ბაზაში განთავსდება ამ გაზეთების მხოლოდ ერთი პატარა ნაწილი, რომელსაც ენიჭება კონკრეტული კორპუსული ინდექსი ამ პერიოდის ბეჭდვითი ენისათვის.

რეფერენცია reference – ცალმხრივი მიმართება ორ ელემენტს შორის ერთი წინადადების ან დისკურსის ფარგლებში (იხ. ანაფორა, კატაფორა, დეიქსისი).

სასწავლო ელექტრონული რესურსი – ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი, ელექტრონული და დისტანციური სწავლების აუცილებელი კომპონენტი. ელექტრონული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს პროდუქტიული სასწავლო გარემოს შექმნას.

სასწავლო კორპუსი learner corpus – წერილობითი და ზეპირი ტექსტების კომპიუტერული კოლექციები, რომლებიც უცხო ენის შემსწავლელთა მეტყველებას ასახავს. სასწავლო კორპუსების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია შეცდომების გამოვლენაზე ორიენტირება: მათი ტიპიზირება, ანალიზი და აღბეჭდვა. ასეთებია, მაგ., LINDSEI (Louvain International Database of Spoken English Interlanguage), ICLE (International Corpus of Learner English) ინგლისურისათვის, FALKO – Ein fehlerannotiertes Lerner-korpus des Deutschen გერმანულისათვის.

სატიტულო გვერდი / თავფურცელი home page – ვებგვერდის ქუდი.

სტატისტიკა statistics – კვანტიტატიური ინფორმაციის (მონაცემების) ასახვის მეთოდი. იგი წარმოადგენს თეორიასა და ემპირიას შორის კოჰერენტული რელაციის ასახვის ერთ-ერთ ფორმას. კორპუსლინგვისტიკა აქტიურად იყენებს სტატისტიკის მეთოდებს და ოპერირებს იმგვარი თემებით,

როგორებიცაა სკალირება, კომბინატორიკა, მონაცემთა კვანტიტატიური განაწილების ფორმები, კონტინგენტურობა და კოეფიციენტი.

სტატისტიკური სიგნიფიკანტურობა statistical significance – სტატისტიკური სიგნიფიკანტურობა გულისხმობს კვანტიტატიურ შედეგს, რომლის ცდომილება, როგორც წესი, 5%-ზე დაბალია. მის გასაზომად გამოიყენება ტესტების სხვადასხვა ფორმა.

სემანტიკური თეგირება semantic tagging – ანოტაციის მეთოდი, რომლის დროსაც კორპუსის ენობრივი მონაცემის კოდირება ხდება მისი სემანტიკური როლიდან გამომდინარე (აგენსი, პაციენსი, რეციპიენსი, ექსპირიენსი და ასე შემდეგ).

სემანტიკური ორმნიშვნელობიანობის მოხსნა / დისამბიგვირება disambiguation – მორფოლოგიური და სემანტიკური ომონიმიის მოხსნა კონტექსტის ფარგლებში.

სემანტიკური პრეფერენცია semantic preference – გარკვეული სიტყვის კონტექსტუალური ასოციაცია გარკვეულ სემანტიკურ როლთან. მაგალითად, სიტყვა „ცემა“ ასოცირდება აგენსის და პაციენსის სემანტიკურ როლებთან, მაშინ, როდესაც „წყურვილი“ – ექსპირიენსთან.

სემანტიკური პროსოდია semantic prosody – ზოგიერთი იდიომატური ერთეული (ანდაზა, დისკურსული ნაწილაკი...), რომელიც პროსოდიის მუდმივად მდგრად ტიპს ავლენს და უკავშირდება მის მიერ

გამოხატულ შინაარსსა და გამონათქვამის პრაგმატულ ფუნქციას.

სიხშირული (კვანტიტატიური) ანალიზი quantitative analysis – კორპუსის მონაცემებზე დამყარებული სტატისტიკური კვლევის ფორმა, რომელიც ასახავს ტოკენის (↗ტოკენი) სიხშირულ მაჩვენებელს.

სწავლების მართვის სისტემა learning content management system – ელექტრონულ სწავლებაში გამოყენებული ტექნიკური საშუალება და ფუნქციონირებადი რგოლი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მასალის (**content**) შექმნას, მოძიებას, ტრანსპორტირებას და გამოყენებას. სწავლების მართვის სისტემა საშუალებას აძლევს მის ავტორებს გასცენ სასწავლო მასალებით სარგებლობის უფლება და დიფერენცირება მოახდინონ მომხმარებლებს შორის მასალაზე წვდომის, მისი გადამუშავების ან მართვის თვალსაზრისით.

ტერაბაიტი terabyte – ინფორმაციის საზომი ერთეული. 1 ტერაბაიტი უდრის 10^{12} ბაიტს = 1.000.000.000.000 ბიტს.

ტექსტი text – კრებითი ცნება წერილობითი დოკუმენტების, არტეფაქტებისა და დოკუმენტირებული ზეპირი მეტყველების აღსანიშნავად.

ტექსტური მარკერი textual markup – *(ტექსტური მანიშნებელი)* – გამოიყენება კორპუსში ტექსტის ფორმატის კოდირებისათვის. ტექსტური მარკერის კოდი იძლევა ორიგინალური მონაცემის მახასიათებ-

ლების ადეკვატური კოდირების საშუალებას. მაგალითად, ტოპონიმის, ანთროპონიმის ასევე ტექსტის სტრუქტურის (თავები, პარაგრაფები) დეტალურ მონიშვნას. ყველაზე გავრცელებული ტექსტუალური მარკირების ენაა XML (Extensible Markup Language *მინიშნების განვრცობადი ენა*).

ტიპი type – კორპუსლინგვისტიკის ერთეული, გამოიყენება სტატისტიკური მიზნით. ტრადიციულ ლინგვისტიკაში მას შეესაბამება ცნება **სიტყვაფორმა**. კორპუსში ერთი ტიპი, როგორც წესი, უდრის n-ტოკენს. მაგალითისათვის – „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის ...“ (გ. ტაბიძე) შედგება 6 ტოკენისაგან, მაგრამ 2 ტიპისაგან – *ქარი* და ჰ*ქრის*. იხ. **ტოკენი**.

ტოკენი token – კორპუსის უმცირესი შემადგენელი ელემენტი, ტრადიციულ ლინგვისტიკაში იგი შეესაბამება ცნებას **სიტყვაფორმა**. იხ. **ტიპი**.

ტიპ-ტოკენის შესაბამისობა type–token ratio (TTR) – კორპუსის გაზომვადი თვისება, რომელიც გამოიხატება მასში არსებული მონაცემების ტიპებისა და ტოკენების რაოდენობების ურთიერთმიმართების ინდექსში. რაც უფრო ახლოსაა ინდექსი 1-თან, მით უფრო მრავალფეროვანია კორპუსის მონაცემთა ბაზა ფორმობრივი თვალსაზრისით.

ტრანსკრიბირება transcription – ტექსტის წინასწარ შეთანხმებული წესების მიხედვით გადმოწერა. წინადადების ტრანსკრიბირების მაგალითია:

თხა-მ	ვენახ-ი	შეჭამ-ა
txa-m	*venax-i*	*šeč̣am-a*

უნიკოდი Unicode – მანქანურად წაკითხვადი ტექსტის კოდირებისა და დეკოდირების სტანდარტული სისტემა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტის ISO-10646-ის ნაწილს წარმოადგენს და კოდირების 16-ბიტიან სისტემას იყენებს.

უნიკოდის კონსორციუმი Unicode consortium – უნიკოდის (↗ უნიკოდი) სტანდარტის საერთაშორისო ორგანიზაცია.

ფალსიფიკაცია, ფალსიფიცირება falsification – (ლათ. *falsus* მცდარი და *facere* კეთება) ექსპერიმენტული შედეგები ან დასკვნები, რომლებიც ვარაუდის მცდარობას ასაბუთებენ. იხ. **ვერიფიკაცია** (განმავრცობელი ცნება: ანტითეზა).

ფონეტიკური ტრანსკრიფცია phonetic transcription – ზეპირი მეტყველების ანოტაციის სახეობა, რომლის დროსაც აუდიო მასალის ჩაწერის ფორმა ეყრდნობა საერთაშორისო ფონეტიკურ ანბანს IPA (International Phonetic Alphabet).

ქართული ენის დიალექტური კორპუსი GDC (Georgian Dialect Corpus) – თემატური კორპუსი, რომელიც შეიქმნა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტში მარინე ბერიძის მიერ. ქართული ენის დიალექტური კორპუსის რესურსები იქმნებოდა სამეცნიერო პროექტის "საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი" ფარგლებში და ფინანსდებოდა „ღია საზოგადოება საქართველოსა“ და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. დიალექტური

კორპუსის რესურსები შესულია ქართული ენის ეროვნული კორპუსის ძირითად რესურსებში. ქართული ენის დიალექტური კორპუსი წარმოადგენს ქართული ლინგვოკულტურული სივრცის ელექტრონული პორტრეტის შექმნის ცდას. საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი წარმოდგენილია სამი ქართველური ენითა (ქართული, სვანური, ზანური) და მათი მრავალრიცხოვანი დიალექტებით. კორპუსი თავისი სტრუქტურით იძლევა ქართული ენობრივი სინამდვილის სრულყოფილად წარმოჩენის შესაძლებლობას, კორპუსის მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი მულტილინგვური ენობრივი არეალის აღსაწერად. კორპუსი შეიცავს არა მხოლოდ ტერიტორიული დიალექტების, არამედ ენის სხვადასხვა სინქრონიული თუ დიაქრონიული ვარიაციის აღწერის პოტენციურ შესაძლებლობასაც. ქართული ენობრივი პორტრეტი კორპუსში აღიწერება რეგიონალური და ლინგვისტური მახასიათებლებით: რეგიონი – რაიონი – სოფელი; ენა – დიალექტი//ქვესისტემა – თქმა (ქვედიალექტი). ქართული ენის დიალექტური კორპუსი მოიცავს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული, ისე მის ფარგლებს გარეთ ირანში, თურქეთსა და საინგილოში არსებული ენობრივი ვარიანტების სამეტყველო ნიმუშებს. ქართული დიალექტური კორპუსი დღეისათვის 1 მილიონზე მეტი ტოკენისგან შედგება.



ქართული ენის დიალექტური კორპუსი

ქართული ენის ეროვნული კორპუსი GNC (Georgian National Corpus) – ქართული ენისათვის შექმნილი კორპუსი, რომელიც აერთიანებს ქართული ენის ეროვნულ საგანძურს – ქართული ენის ისტორიული არსებობის პერიოდში არსებულ წერილობით და ზეპირმეტყველების დოკუმენტაციის შედეგად შექმნილ ელექტრონულ რესურსებს. კორპუსში გაერთიანებული ელექტრონული რესურსების დაგროვება გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ – ფრანკფურტის გოეთეს სახ. უნივერსიტეტში ცნობილი გერმანელი ქართველოლოგის იოსტ გიპერტის მიერ. ქართული ენის ეროვნული კორპუსი იქმნება ფოლკსვაგენის ფონდის ფინანსური ხელშეწყობით და ეყრდნობა ოთხ ელექტრონულ რესურსს: TITUS, ARMAZI, GEKKO და GDC. ქართული ენის ეროვნული კორპუსის შექმნაში დღეისათვის მონაწილეობენ საქართველოსა და უცხოეთის კვლევითი ინსტიტუტები და სამეცნიერო ჯგუფები: ფრანკფურტის გოეთეს სახ. უნივერსიტეტი

(ფრანკფურტი), არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი (თბილისი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი), შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმი), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (თბილისი), საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა (თბილისი), საქართველოს ეროვნული მუზეუმი (თბილისი), CLARINO (↗GEKKO) – ბერგენი. ქართული ენის ეროვნული კორპუსი დღეისათვის 130 მილიონი ტოკენისაგან (↗ტოკენი) შედგება და წარმოადგენს დიაქრონული კორპუსის ტიპს. 2013 წლის 28 დეკემბრიდან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის ინიციატივით ქართული ენის ეროვნულმა კორპუსმა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაიდო ბინა.



ქართული ენის ეროვნული კორპუსი

შედარებითობა – მულტილინგვური კორპუსების გაზომვადი ღირებულება. კორპუსული შედარებითობის ფენომენი უკავშირდება ვიკიპედიის წარმოშობას, რომელიც წარმოადგენს ყველაზე მრავალენოვან ფართოდ გავრცელებულ "კორპუსს". სპეციალური ალგორითმის საშუალებით გამოთვლილი ორი სხვადასხვა ენის კორპუსული შედარებითობა საშუალებას იძლევა დაიხვეწოს ავტომატური თარგმნა. (განმავრცობელი ცნება: შედარებითობის ხარისხი, შედარებითობის კოეფიციენტი).

ციფრული ჰუმანიტარია – იხ. **დიგიტალური ჰუმანიტარია**

ხარისხობრივი (კვალიტატიური) ანალიზი qualitative analysis – კორპუსის მონაცემებზე დამყარებული ლინგვისტური კვლევის ფორმა, რომელიც ასახავს განსხვავებული ფორმების მოხმარების სპეციფიურ შემთხვევებს.

ხაზთაშორისი ანოტაცია interlinear glossing – ენობრივი მონაცემის ანალიზის ასახვის მეთოდი, სიტყვასიტყვითი ანალიზი, მისი სინონიმია **გლოსირება.** ხაზთაშორისი ანოტაციის წაკითხვის გაადვილებას ემსახურება **ტრანსკრიფცია**.

კაც-ი	სახლ-ში	მიდი-ს.
ķaci	*saxlši*	*midis*
man:NOM	Home:DAT.PP	go:PRES. 3S.Sg.

“The man is going home.”

ჰიპერბმული hyperlink – (იგივე **ელექტრონული გადამისამართება**) ელექტრონულ რესურსში

საგანგებოდ მონიშნული ობიექტი (სიტყვა, ფოტო, გრაფიკული გამოსახულება, აკრონიმი), რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს გადავიდეს სხვა ინფორმაციაზე ერთი ჰიპერტექსტის ფარგლებში, რომელიც გაცილებით ვრცელ ინფორმაციას შეიცავს მოცემული ობიექტის შესახებ. იგი პირველად შემოიტანა ტედ ნელსონმა 1960 წელს. HTML-ის სინტაქსური წესების მიხედვით ჰიპერბმული ასე ჩაიწერება:

ქართული ენის ეროვნული კორპუსი

ამგვარ ჰიპერბმულს მომხმარებელი გადაჰყავს ქართული ენის ეროვნული კორპუსის ვებგვერდზე, რომლის მისამართია:

http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/armazi/gnc/gnc.htm

ჰიპერტექსტი hypertext – (იგივე ზეტექსტი). წარმოადგენს ქსელური სტრუქტურის მქონე ტექსტს შემდგარს ობიექტებისაგან, რომლებსაც ერთმანეთთან ბმულობა გააჩნიათ. მისი უპირატესობა მდგომარეობს ინფორმაციის მრავალგანზომილებიან ურთიერთწვდომაში, რაც კომპლექსური შინაარსის ასახვისა და მოხმარების გაადვილებას იწვევს.

ჰიპერტექსტის მარკირების ენა HTML (Hyper Text Markup Language) – ციფრული ინფორმაციის სტრუქტურის მონიშვნის პროგრამული საშუალება, რომელიც განკუთვნილია ვებგვერდების შესაქმნელად და ინფორმაციის გასავრცელებლად ინტერნეტის საშუალებით. HTML დაწერილია HTML ელემენტების ფორმით, რომელიც შედგება თეგებისგან. თეგი მოქცეულია კუთხიან ფრჩხილებში (როგორც <b>). HTML-თეგები ძირითადად წყვილის სახით არის წარმოდგენილი,

როგორც <h1> და </h1>, თუმცა ზოგიერთი თეგი ცარიელ კენტ ელემენტს წარმოადგენს და არა ჰყავს მეწყვილე, მაგალითად, <img> ან
. წყვილის პირველი თეგი არის საწყისი თეგი – ხსნის ბრძანებას, ხოლო მეორე – დამასრულებელი, ანუ ზღვარს უდებს ბრძანების მოქმედების არეს. წყვილი თეგების შუაში თავსდება ტექსტი, სურათი ან სხვა რესურსი, რამდენიმე თეგის ერთდროულად გამოყენების შემთხვევაში კი სხვა თეგები. მაგ. "ბაკურიანის ზამთრის სკოლა – ***დიგიტალური ჰუმანიტარია***" ასე ჩაიწერება: [ბაკურიანის ზამთრის სკოლა ****დიგიტალური ჰუმანიტარია ** **].

ARMAZI (Caucasian Languages and Cultures: Electronic Documentation) – აკრონიმი საერთაშორისო სამეცნიერო პროექტისა "კავკასიური ენები და კულტურები: ელექტრონული დოკუმენტაცია". პროექტს ხელმძღვანელობდნენ ფრანკფურტის გოეთეს სახ. უნივერსიტეტის პროფესორები იოსტ გიპერტი და მანანა თანდაშვილი. პროექტს აფინანსებდა **ფოლკსვაგენის ფონდი** (**Volkswagen Stiftung**). პროექტი მიზნად ისახავდა კავკასიური ენების ელექტრონული პორტალის შექმნას და საქართველოს ჰუმანიტარული დარგის წამყვანი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და კვლევით-საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო საინფორმაციო ქსელში (**WWW**) ჩართვას. **ARMAZI** აერთიანებდა 11 სამეცნიერო და კვლევით დაწესებულებას. მათ შორის იყო: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი (ძველი ქართული ენის კათედრა, სამეცნიერო ლაბორატორია "ორიონი", სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრა), არნ. ჩიქო-

ბავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი, გელათის მეცნიერებათა აკადემია, გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო კომისია, ა. წერეთლის სახ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. **არმაზის** რესურსების შექმნამ საშუალება მისცა პროექტში მონაწილე სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებსა და კვლევით-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მათ ხელთ არსებული ცალკეული მასალები გადაექციათ ელექტრონულ რესურსებად და დაუფლებოდნენ თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით კვლევის მეთოდებს. პროექტმა უდავოდ შეუწყო ხელი კავკასიის ენობრივი და კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნებისა და ქართული სამეცნიერო სკოლის წარმოჩენას საერთაშორისო ქსელში და ხელმისაწვდომი გახადა **არმაზის** მასალები როგორც დასახელებული სამეცნიერო კვლევითი ცენტრების, ისე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

ARMAZI-ს ვებგვერდი

GEKKO – ქართული ენის ელექტრონული კორპუსი, რომლის პროგრამულ ჩარჩოს წარმოადგენს კორპუსის მართვის პლატფორმა Corpuscle. პლატფორმა განკარგავს კორპუსის ძებნისა და ანალიზის ყველა ძირითად ხელსაწყოს (კორკონდანსი, კოლოკაცია, სიტყვაფორმების სია, დისტრიბუცია) და მიემართება სტრუქტურირებულ მონაცემებს (XML). **GEKKO-**ს ავტორია პაულ მოირერი, ნორვეგიაში მოღვაწე მეცნიერი. იხ. http://iness.uib.no/gekko.

KWIC-ინდექსი – (ასევე პერმუტაციული ინდექსი) საძიებო ცნებისა და კონტექსტის დალაგების (სორტირების) გავრცელებული ფორმა, რომლის დროსაც მოძიებული კონტექსტები ციკლურად (პერმუტაციულად) აღბეჭდავს ყველა ელემენტს **KWIC**-ის (↗KWIC) სახით. ციკლს საფუძვლად უდევს ანბანური რიგი, რომელსაც **KWIC**-სიასაც უწოდებენ.



KWIC- ინდექსის მაგალითი GEKKO-დან

KWIC (key word in context) – საძიებო სიტყვაფორმა კონტექსტში. არსებითად განსხვავდება KWOC -საგან (key word out of context საძიებო სიტყვა კონტექსტის გარეშე). აღნიშნული ცნება პირველად გამოიყენა გერმანელმა მათემატიკოსმა ჰანს პეტერ ლუნმა (Hans Peter Luhn),

რომლის სახელი ასევე უკავშირდება ალგორითმს "modulus 10".

KWIC-ი წარმოადგენს წინაკომპიუტერული ეპოქის მეთოდს, რომელიც ბიბლიოთეკებსა და არქივებში გამოიყენებოდა მონაცემთა სათაურების ინდექსირებისათვის. იგი უადვილებდა მომხმარებელს მოსაძებნი წყაროს მიგნებას თემატური ველის მითითების საფუძველზე. კომპიუტერულ ეპოქაში **KWIC**-ი წარმოადგენს მონაცემთა კომპრესიის (კომპრიმირების) ერთერთ ფორმას, რომლის დროსაც საძიებო ცნება კონტექსტთან შედარებით გამოყოფილია ცენტრალური პოზიციითა და განსხვავებული გრაფიკული ნიშნით (სიმუქე, ზომა და ა.შ.).

n*-gram** – ტექსტის დანაწევრება ფრაგმენტებად, რომელიც მეორე ეტაპზე **N**-ელემენტებად (n*-gram**) ჯგუფდება. ამგვარ დაჯგუფებას შესაძლოა საფუძვლად ედოს ასოების, მორფემების, ლექსემების მსგავსებები. ***n*-gram**-ის სახეებია მონოგრამები, ბიგრამები და ტრიგრამები შესამაბისად მაკონსტრუირებელი ნიშნის რაოდენობის მიხედვით. ასევე საუბარია მულტიგრამებზეც. ***n*-gram**-ის ფორმალური განსაზღვრება: თუ **Σ** სასრული ანბანია და **n** წარმოადგენს მთლიან დადებით რიცხვს, მაშინ ***n*-gram**-ი არის **Σ** ანბანისაგან შემდგარი ერთი **w** სიტყვა **n** სიგრძით –$w=(w_1,\ldots,w_n) \in \Sigma^n$. იხ. მაგალითი ქართულისათვის:

Monogramm/Unigramm	1	ა
Bigramm	2	აი
Trigramm	3	სიო
Tetragramm	4	თათი

Pentagramm	5	ვაშლი
Hexagramm	6	თამასა
Heptagramm	7	თბილისი
Oktogramm	8	წიგნების
…	…	…
Multigramm	N	კორპუსლინგვისტიკა

online vs. offline – ქსელური მომსახურების რეჟიმი vs. პერსონალური მომსახურების რეჟიმი.

Parsing – კორპუსლინგვისტიკის ცნება ავტომატური სინტაქსური დანაწევრების პროცესის აღსანიშნად. პროცესი გულისხმობს ლექსემათა (კორპუსში ტოკენთა) ხაზობრივი თანმიმდევრობის ავტომატურ შეპირისპირებას ბუნებრივი ან ფორმალური ენის ფორმალურ გრამატიკასთან (ფორმალური წესების ბანკთან) სემანტიკური ორმნიშვნელიანობის (↗დისამბიგვირება) გათვალისწინებით. ლექსიკური ანალიზატორის პარალელურად, როგორც წესი, გამოიყენება მორფოლოგიური და სინტაქსური ანალიზატორიც. **Parsing**-ის შედეგად ხდება წინადადების სინტაქსური სტრუქტურის ვიზუალური მოდელის გენერირება ე. წ. ლინგვისტური (სინტაქსური) ხის ფორმატში.



Parsing-ის მაგალითი GEKKO-დან

Parsed corpus – სინტაქსური წესების მიხედვით დანაწევრებული და სემანტიკურად დისამბიგვირებული მონაცემთა ბაზა. ამგვარ კორპუსებში, როგორც წესი, დაძლეულია მორფოლოგიური ომონიმიის პრობლემა. მაგ., ტოკენისათვის (↗ტოკენი) „პატივცემული“ GEKKO-ს მორფოლოგიური ანალიზატორი გვთავაზობს შემდეგ ვარიანტებს:

პატივცემული – სახ. ბრუნვა (< პატივცემული ექვთიმე ჯანელიძე)
პატივცემული – ნათ. ბრუნვა (<პატივცემული ექვთიმე ჯანელიძის)
პატივცემული – მოქ. ბრუნვა (<პატივცემული ექვთიმე ჯანელიძით)



დისამბიგვირების პროცესი GEKKO-ში

TITUS (Thesaurus Indogermanischer Text- und Sprachmaterialien) – აკრონიმი საერთაშორისო სამეცნიერო პროექტისა "ინდოგერმანული ტექსტებისა და ენობრივი მასალების თეზაურუსი". პროექტის ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო პროფ. იოსტ გიპერტი, რომელმაც პრაღის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით პირველმა შექმნა კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვილი უპრეცენდენტო კორპუსი ინდოევროპული ენებისათვის. **TITUS-**ი აერთიანებს ინდოევროპული ენების ელექტრონულ რესურსებს, როგორიცაა ინდური ენები (ვედური, სანსკრიტი, ფალი, ჰინდი, მალდივური), ირანული ენები (ავესტა, ძველი, საშუალი და ახალი სპარსული, პართიული, სოგდური, ხოტან-საკური, ბაქტრული, ოსური, ზაზაკი), ანატოლიური (ხეთური, ლუვიური, ფალაური), თოხარული A და B (აღმოსავლური და დასავლური თოხარული), სომხური, ბალტიური ენები (ძველი პრუსიული, ლატვიური, ლიტვური), სლავური ენები (ძველი საეკლესიო სლავური, ჩეხური, პოლონური, ხორვატული, სორბული, ბულგარული),

გერმანიკული ენები (გოთური, ძველი ფრიზული, ძველი საქსონური, ქვემო გერმანული, ძველი, საშუალი და ახალი გერმანული, ძველი ინგლისური, ძველი და საშუალი ჰოლანდიური), ბერძნული (მიკენური და კლასიკური ბერძნული), იტალიკური ენები (ლათინური, ფრანგული, იტალიური, პორტუგალიური), კელტური ენები (ძველი ირლანდიური, საშუალუელსური, საშუალბრეტონული, ლეპონტური), სემიტური ენები (ებრაული, არაბული, სირიული, ეთიოპური), ფინო-უნგრული ენები (ფინური, უნგრული), თურქული ენები (ძველი თურქული, ყარაჩაული, ბალყარული, აზერბა-იჯანული), დრავიდული ენები (თამილი), სინოტიბეტური ენები (ჩინური). **TITUS-**ი, გარდა ინდოევროპული ენებისა, კავკასიური ენების რესურ-სებსაც მოიცავს. მათ შორისაა ქართულის, მეგრულის, ლაზურის, სვანურის, წოვა-თუშურის, უდიურის რესურსები.

TITUS-ის ვებგვერდი

Treebank – სინტაქსური ხეების ბანკი (განშტოებული დიაგრამების ფორმით). წარმოადგენს სინტაქსურად და სემანტიკურად ანოტირებულ ტექტს, რომელიც დანაწევრებულია მოცემული ენის სინტაქსის

ფორმალური წესების (↗Parsing) მიხედვით. ცნება **parsed corpus** ხშირად გამოიყენება ცნების **Treebank** სინონიმად.



ქართული მაგალითი The INESS treebanking environment-იდან

დანაწევრებული კორპუსის (↗ Parsed corpus) კონსტრუქცია მონაცემთა დიდი ბაზების გასაანალიზებლად პირველად ადრეულ 90-იან წლებში გამოიყენეს და წარმოადგენდა კორპუსლინგვისტიკის საეტაპო მიღწევას.

t-test – სტატისტიკური ტესტი, რომლიც გამოიყენება კოლოკაციების დასაანგარიშებლად.

World Wide Web როგორც „კორპუსი“ – WWW-ის კორპუსად გაგების იდეა (Kilgarriff & Grefenstette 2003) ძალიან წააგავს მონიტორული კორპუსის იდეას. აქაც საქმე ეხება მონაცემების მასიური შეგროვებისა და ბაზის მუდმივი ექსპანსიის კორპუსულ ჩარჩოში მოქცევას და მის გამოყენებას ლინგვისტური კვლევისათვის. ამის საუკეთესო მაგალითია ანტონიმების Web-

ზე დაყრდნობით კვლევა სტივენ ჯონსის მიერ (Jones et al. 2007). ყველაზე ცნობილი საძიებო სისტემის google-ის გარდა სპეციალურად Web-ში საძიებლად შეიქმნა დამატებითი ნიუანსირებული საძიებო სისტემები, როგორიცაა, მაგალითად, WebCorp (Renouf 2003). Web-ს, როგორც კორპუსს, გააჩნია რამდენიმე, სხვა კორპუსებისაგან განმასხვავებელი თავისებურება. იგი შედგება ბევრი რედაქტირებულ-კომენტირებული და უფრო მეტი ზერელე ტექსტისაგან. მეტამონაცემების (↗მეტამონაცემი) არქონის გამო ეს ტექსტები არ იძლევიან ავტომატური დაჯგუფების საშუალებას ჟანრების (↗ჟანრი) მიხედვით, რაც ქაოტურ, არარეპრეზენტაბელურ შედეგებს იძლევა. მთავარ პრობლემად კი რჩება ის, რომ Web-ში ძალიან ბევრი შეცდომა ფიქსირდება. ლექსიკონის ამ სტატიის წერის დროს სიტყვისთვის *receive* მივიღეთ 517.000.000 შედეგი მაშინ, როდესაც ამავე სიტყვის მცდარი დაწერილობისათვის *recieve* – 8.940.000, რაც შეცდომისათვის ძალიან მაღალი ციფრია. თუმცაღა თავისთავად ეს ნაკლიც კი საინტერესოა მართლწერის ტენდენციების კვლევის თვალსაზრისით.

24 საათიანი სასწავლო სივრცე – დიდაქტიკური სცენარი თანამედროვე სწავლების მეთოდიკაში, ერთგვარი ვირტუალური სასწავლო სივრცე, რომელიც ღიაა მომხმარებლისათვის 24 საათის განმავლობაში. სწავლების ეს კონცეფცია არ ზღუდავს სასწავლო პროცესს გარკვეულ, წინასწარ დადგენილ და შეთანხმებულ დროსა და სივრცეში. ლექტორის მხრიდან სასწავლო მასალის ელექტრონულ ფორმატში მომზადება და მისი წვდომადობა ინტერნეტის საშუალებით სტუდენტს საშუალებას აძლევს

სასწავლო დროის მენეჯმენტი საკუთარი სურვილისამებრ დაგეგმოს.

ნაწილი II

კორპუსების

შერჩევითი რეგისტრი

Language: Apache
Indication: The University of Virginia Electronic Text Center
Kind: Electronic Texts
Size: Unknown
Link: http://www.scholarslab.org/
Description: An on-line archive of tens of thousands of SGML and XML-encoded electronic texts and images with a library service that offers hardware and software suitable for the creation and analysis of text.

Language: Armenian
Indication: Leiden Armenian Lexical Textbase
Kind: Text and Corpora Meta Sites
Size: 80.000 Armenian lexemes and ten texts
Link: http://www.sd-editions.com/LALT/home.htm
Description: The complete Nor Bargirk, main sections of Adjarian's Root Dictionary, Bedrossian's Armenian-English Dictionary and other material are integrated in LALT. There is a Greek-Armenian lexicon (20000 entries), and aligned Armenian-Greek texts. LALT will be updated at regular intervals. Also, LALT easily is able to integrate additional material and welcomes contributions of other scholars. I have been asked about fonts: LALT is written in xml and uses unicode. Any unicode font will be able to read it, provided this font contains the glyphs (screen images) for Armenian and Greek. One such font is Titus Cyberbit, which is used within LALT itself.

Language: Armenian
Indication: Eastern Armenian National Corpus
Kind: Corpora
Size: 90 million tokens
Link: http://www.eanc.net/
Description: Eastern Armenian National Corpus (EANC) is a comprehensive linguistic database of annotated texts in Standard Eastern Armenian (SEA), the language spoken in the Republic of Armenia. EANC

is: – a comprehensive corpus with about 90 million tokens – a powerful search engine for making complex lexical morphological queries – a learner's corpus including English translations for frequent tokens – a diachronic corpus covering SEA texts from the mid-19th century to the present – a mixed corpus consisting of both written discourse and oral discourse – an open-ended corpus with new texts being added continuously – an annotated corpus with morphological and metatext tagging – an open access corpus – an electronic library with full access to over 100 Armenian classic titles Another important feature is the Glossed output: typologists and language learners can now work with a text format similar to interlinear morphological glosses. In this format, wordforms are supplied with lemmas, lexical and grammatical categories, and translations, vertically aligned below each wordform. Also possible is switching to Latin transliteration from the Armenian alphabet.

Language: Catalan-Valencian-Balear
Indication: Corpus de Català Contemporani de la Universitat de Barcelona (CCCUB)
Kind: Corpora
Size: unknown
Link: http://www.ub.edu/cccub/
